აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 103-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№52 (25.076) შაბათი, 20 - 22 მაისი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 18-23, შიდამთიან რაიონებში - 16-21 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 15 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 758 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

ბოლო ზარი – დღე, როცა 12-წლიანი თავგადასავალი სრულდება

ბათუმი

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80

ბოლო ზარი ყოველთვის ფერადი წარწერებით აჭრელებულ თეთრ პერანგებთან ასოცირდება. ეს დღე ერთდროულად სიხარულთან და ცრემლებთან არის დაკავშირებული. ემშვიდობები მშობლიურ სკოლას, კლასს, მერხს, კლასელებს, მასწავლებლებს და გული გწყდება. ემოციურია როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვისაც, თუმცა დამოუკიდებელი ცხოვრებისკენ პირველი ნაბიჯების გადადგმაც გიხარია და უმთავრესისთვის - სტუდენტობისთვის ემზადები.

ბოლო ზარი წელს აჭარაში 4 ათას 500 მოსწავლისათვის დაირეკა, ბათუმში სკოლა 2 303 მოსწავლემ დაამთავრა.

ბათუმის ქუჩებში გუშინ განსაკუთრებული სიხალისე იგრძნობოდა. მე-12 კლასელები გამვლელებს თეთრი პერანგებით ხვდებოდნენ და სამახსოვრო წარწერის გაკეთებას სთხოვდნენ. მათი ჟრიამული და მხიარულება გადამდები იყო.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ბათუმის მეორე საჯარო სკოლაში ბოლო ზარის ზეიმს დაესწრო და ახალგაზრდებს სკოლის დამთავრება მიულოცა:

- ჩვენს ახალგაზრდებს ვულოცავ სკოლის დამთავრებას. ცხოვრების მნიშვნელოვანი, დაუვიწყარი ეტაპის დასრულებას და ახალი, საინტერესო ეტაპის დაწყებას. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი თაობის წარმატებები. ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე დგას თითოეულ თქვენგანზე. მინდა ეს დღე მივულოცო და მადლობა გადავუხადო პედაგოგებს, კურსდამთავრებულთა მშობლებს, ყველას, ვინც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი გამორჩეული ახალგაზრდების აღზრდასა და განათლებაში, - თქვა მან.

სკოლა „ევრო 2000“ სკოლის დირექტორმა მარინა ცივაძემ ბოლო ზარის საზეიმო ღონისძიების შემდეგ გვითხრა:

- ჩვენთვის ძალიან ამაღელვებელი დღეა, 12 წელი ვზარდეთ ეს ბავშვები, დიდი შრომაა მათ სწავლა-განათლებაში ჩადებული. დღეს არის ძალიან ამაჩუყებელი, სევდიანი და ამავდროულად სიხარულით სავსე დღე. მინდა მივულოცო ყველა კურსდამთავრებულს, ია-ვარდებით, ნათელი გზით ევლოთ, დიდი წარმატებებისთვის მიეღწიოთ ცხოვრებაში და ულევი სიხარული ჰქონოდეთ.

თავისი ემოცია სკოლა „ევრო 2000“-ის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე დავით ხინთიბიძემაც გაგვიზიარა:

- ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღეა ჩემთვის და ჩემი კლასელებისთვის, რადგან დღეს ჩვენი 12-წლიანი თავგადასავალი დასრულდა. უნდა გამოვემშვიდობოთ ჩვენი სკოლის კედლებს, აქ მიღებული ცოდნა წავიღოთ და დავიძრათ უფრო დიდი მიზნებისკენ. ამ დღეს განსაკუთრებით ველოდი, წარსულის მოგონებებს ვტოვებ სკოლაში, მიხარია აწყმო და მაქვს მომავლის იმედი.

ჩვენს მასწავლებლებთან იმდენად დამეგობრებულები ვართ, ისინი ჩვენი დიდი გულშემატკივრები არიან. ყოველი წუთი გამახსენდება ძალიან კარგად, რადგან, აქ ვიღებდი იმ სითბოს და დადებით ენერგიას, რომელიც ასე მჭირდებოდა. ვიწყებ ცხოვრების ახალ ეტაპს, ახალი გამოწვევებით. დიდი ნაბიჯი უნდა გადავდგათ, სკოლის 12 წლის წინ გაღებული კარები უნდა გამოვიხუროთ, რაც ჩემთვის პირადად ძალიან რთულია.

აჭარის მთიანეთის სკოლებში

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

მოსწავლეთა კონტინგენტის შემცირების, რიგი საჯარო სკოლის დახურვის მიუხედავად, აჭარის მთიანეთის საჯარო და საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის, ხულოს წმინდა აბუსერისძე ტბელის სახელობის სკოლებში ბოლო ზარი საზეიმოდ აღნიშნეს. აღმზრდელ პედაგოგებთან, მშობლებთან ერთად კურსდამთავრებულებს ცხოვრების ახალ გზაზე გასვლა თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა, სხალთის ეპარქიის მღვდელმსახურებმა მიულოცეს.

* * * ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს 175 კურსდამთავრებული გამოემშვიდობა. დაბა ქედის, წონიარისის, მერისის, დოლოგნის და სხვა სკოლების კურსდამთავრებულთა 95 პროცენტი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ცდის ბედს, რამდენიმე კი პროფესიული განათლების მიღებას აპირებს.

დაბა ქედის, წონიარისის საჯარო სკოლებში იმყოფებოდნენ და კურსდამთავრებულებს მიესალმნენ ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე, რესურსცენტრის უფროსი დურმიშხან შავიშვილი. მათ ახალგაზრდებს ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყება მიულოცეს.

* * * დაბა შუახევის, ფურტიოს, ნიგაზეულის, ბუთურაულის, ნენიის საჯარო სკოლებს მიმდინარე სასწავლო წელს საკმაო რაოდენობის კურსდამთავრებული ჰყავთ. გოგაძეების საჯარო სკოლა ამ მხრივ გამონაკლისია. დანარჩენ სკოლებში 157 კურსდამთავრებულია.

ყველა სკოლაში კურსდამთავრებულებს ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლა საზეიმო ვითარებაში მიულოცეს. საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის, დაბა შუახევის, ნიგაზეულის სკოლებში იყვნენ და შეკრებილთ მიესალმნენ შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მისი მოადგილე გიორგი კეკელიძე, რესურსცენტრის უფროსი ედუარდ გოგრაჭაძე.

* * * ხულოს საჯარო და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა აბუსერისძე ტბელის სახელობის სკოლა 272-მა ახალგაზრდამ დაამთავრა. მათგან 90 პროცენტზე მეტი ერთიან ეროვნულ გამოცდებზეა დარეგისტრირებული. წელსაც საკმაო რაოდენობის კურსდამთავრებული ჰყავს დაბა ხულოს, ოქრუაშვილების, დიდაჭარის, ქვედა ვაშლოვანის, ბეღლეთის საჯარო სკოლებს. ზედა ვაშლოვანის, ოქრუაშვილების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მივიდნენ და პედაგოგებს, ახალგაზრდებს მიესალმნენ ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე, რესურსცენტრის უფროსი ედუარდ მიქელაძე.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მეცნიერებისა და განათლების მინისტრს ემინ ამრულაევს შეხვდა. ყურადღება გამახვილდა ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობებზე. საუბარი შეეხო სხვადასხვა სფეროში პარტნიორობის კიდევ უფრო გაღრმავების პერსპექტივებს, მათ შორის, განათლების მიმართულებით. გამოითქვა მზადყოფნა, რომ გაღრმავდეს ზოგადი განათლების სფეროში არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობა. განიხილეს უმაღლეს სასწავლებლებს შორის წარმატებული პარტნიორობა, ასევე, ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის.

* * *

მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შეიქმნას „ქოლცენტრების“ შესახებ საგამოძიებო კომისია, თუ ვინმე ქართულ-ევროპულ საგამოძიებო კომისიას არ ენდობა, - განაცხადა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ. მისივე თქმით, მთავრობა ქართულ-ევროპული კომისიის შედეგებს დაელოდება, რომელმაც დანაშაულის მასშტაბი საბოლოოდ უნდა გამოავლინოს. საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატებმა გუშინ, კენჭისყრის წინ რეგისტრაცია არ გაიარეს - შედეგად, „ქოლცენტრების“ საქმეზე დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხს კენჭი ვერ ეყარა.

* * *

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით პირველი ავიარეისი საპროტესტო აქციის პარალელურად შესრულდა. თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან ელენე ხოშტარიას ორგანიზაციის წევრები და მხარდამჭერები შეიკრიბნენ. ისინი რუსეთიდან ჩამოსულ მგზავრებს საპროტესტო ბანერებით დახვდნენ. აეროპორტთან შეკრებილები ქართულ მხარეს მოსკოვში მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებისკენ მოუწოდებდნენ.

* * *

ყველა ცივილიზებული ქვეყანა ემიჯნება რუსეთს და სანქციებს უწესებს. ერთადერთი სახელმწიფო აღმოჩნდა საქართველო, რომელმაც კარი გაუხსნა, თუმცა მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან „რუსული ოცნება“ წარმოადგენს რუსეთს, - განაცხადა ენმ-ის რეგიონულმა მდივანმა გიორგი ბოტკოველმა გუშინ რუსეთ-საქართველოს შორის განხორციელებულ პირველ ავიარეისზე საუბრისას. „მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ აღიარა, რომ დღეს რუსეთი უკრაინელი ხალხის გენოციდს ახორციელებს. ნებისმიერი ხელისუფლების გადაწყვეტილება რუსეთის ხელშეწყობაზე საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულია“, - თქვა მან.

მოამზადა
ია შველიძემ

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

გმირთა ხეივანში მწვანე დერეფნის მოწყობა მიმდინარეობს

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, ბათუმში გმირთა ხეივანში მწვანე დერეფნის მოწყობა აქტიურად მიმდინარეობს. ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს

აქ მიმდინარე სამუშაოები აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ და ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა დაათვალიერეს.

აღნიშნული პროექტი „გმირთა ხეივნის“ რეაბილიტაციას ითვალისწინებს. ხეივანში უკვე მოწესრიგდა მიწისქვეშა კომუნიკაციები, მოეწყო სავალი ნაწილის ბეჭდური ბეტონი, ხეივნის მონაკვეთების დამაკავშირებელი ხიდის მიწისქვეშა ხიმინჯები და რეკრეაციული სივრცეები.

„განახლებული გმირთა ხეივანი, ბათუმის სტადიონის მიმდებარე ტერიტორიის განვითარებასთან ერთად, ახალ სიცოცხლეს შესძენს ბათუმს და გახდება ქალაქის სავიზიტო ბარათი“ - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

ამჟამად, მიმდინარეობს ხეივნის მონაკვეთების დამაკავშირებელი ხიდების მშენებლობა, მთლიანი მწვანე დერეფნის საყვავილეებში მოქცევა, გამწვანების ზოლის, საფეხმავლო ბილიკის, სარწყავი სისტემის, განათების, სკამების და ხიდის ქვეშ კომერციული სივრცეების მოწყობის სამუშაოები.

როგორც ირაკლი ქარსელაძემ აღნიშნა, ხეივანში მშენებარე სახიდე საფეხმავლო და ველოგადასასვლელი, საფეხმავლო პანდუსთან ერთად, უზრუნველყოფს უსაფრთხო კავშირს სამნაწილიანი ბულვარის მონაკვეთებს შორის.

პროექტით, ასევე, დაგეგმილია „გმირთა ხეივანში“ არსებული მემორიალის რეაბილიტაცია.

85 ტურისტული კომპანია – ერთ სივრცეში

ბათუმი ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის საერთაშორისო გამოფენას მასპინძლობს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ადგილობრივი რეწვის ნიმუშები, კულინარია, ფოლკლორული ანსამბლები, სასტუმროები, რესტორნები, ტურისტული კომპანიები - ეს არასრული ჩამონათვალია იმ მიმართულებებისა, რომლებიც ბათუმის ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის რიგით მე-14 საერთაშორისო გამოფენაზეა წარმოდგენილი

„EBIT 2023“ საზეიმოდ გუშინ გაიხსნა და ხვალ ოფიციალურად დაიხურება.

გამოფენაზე ტურისტული პროდუქტები, სერვისები და სხვა მიმართულებები 85-მდე ადგილობრივმა და საერთაშორისო კომპანიამ წარმოადგინა.

გამოფენა ბათუმის სპორტის სასახლეში (ლადო ასათიანის ქ. №27) იმართება და დასწრება თავისუფალია.

როგორც ორგანიზატორებმა გვითხრეს, „EBIT 2023“-ის მიზანი ტურისტული კომპანიების ერთ სივრცეში გაერთიანებაა, რასაც უკვე 14 წელია ნამდვილად ახერხებენ.

„მსგავსი ტიპის ღონისძიებები მნიშვნელოვანია რეგიონის პოპულარიზაციისთვის. ეს საშუალებას გვაძლევს, არა მარტო აჭარაში, მთელ ქვეყანაში მოვიზიდოთ მეტი ტურისტი, რათა უფრო გავაუმჯობესოთ ჩვენი მოქალაქეების, მოსახლეობის კეთილდღეობა“, - გვითხრა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ.

გამოფენაზე ყოველ წელს გამორჩეული სტენდით არიან წარმოდგენილნი აჭარის მუნიციპალიტეტები. ვიზიტიორები მათთან შეხვედრას ტრადიციულად, ელოდებიან.

„ხულოს მუნიციპალიტეტი მსგავსი ტიპის ღონისძიებებში ყოველთვის მონაწილეობს, რადგან ჩვენი კუთხის პოპულარიზაცია მნიშვნელოვანია. სტენდს ყოველთვის ჰყავს ვიზიტიორი, მათ გამოფენის ფარგლებში საშუალება აქვთ, ხელნაკეთი ნივთებიდან დაწყებული, ძველი აჭარული კერძებით დამთავრებული, იხილონ და დააგემოვნონ“, - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის წარმომადგენელმა ნაილე აბულაძემ.

გამოფენა ყოველ წელს უფრო მასშტაბური ხდება. ნაცნობ კომპანიებთან ერთად, წელს ნახავთ ისეთებსაც, რომელიც პირველად იხილა ბათუმის საერთაშორისო გამოფენაზე მისულმა დამთვალიერებელმა.

- გამოფენაში პირველად ვმონაწილეობთ. რა თქმა უნდა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, გაიზრდოს ისეთი კურორტის ცნობადობა, როგორიც წყალტუბოა. გვეყოლება უფრო მეტი მომხმარებელი და გაგვიცნობს საზოგადოება. მინდა, ყველამ გაიგოს იმ სამკურნალო თვისებების შესახებ, რაც წყალტუბოს წყალს აქვს. ეს არის უნიკალური რადონის წყალი. ვფიქრობ, რომ ადამიანის გაჯანსაღებისთვის და მკურნალობისთვის კურორტი წყალტუბო იდეალურია. ყველას ვთხოვ, მობრძანდეს ჩვენს სტენდთან და მივაწვდით ამომწურავ ინფორმაციას, - გვითხრა სასტუმრო „პრომეთეს“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ხათუნა მაღლაკელიძემ.

როგორც გამოფენის ორგანიზატორმა, საერთაშორისო საგამოფენო კომპანია „ჯეონეტ ექსპოს“ დამფუძნებელმა ოსმან ჩალიშქან მუავანაძემ გვითხრა, გამოფენის მიზანი ინოვაციებისა და ახალი სერვისების შესახებ ინფორმაციის გაცვლა, ბიზნესკონტაქტების მოძიება და სამომავლოდ საქმიანი ურთიერთობების გაგრძელებაა. მისივე თქმით, გამოფენის ფარგლებში, დაგეგმილია სხვადასხვა სახის ღონისძიებები და მასტერკლასები.

გამოფენის მხარდამჭერები არიან: აჭარის მთავრობა, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, თურქეთის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის სამინისტრო, თურქეთის ტურისტული კომპანიების ასოციაცია, ბათუმის მერია, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, აჭარის ტურიზმის ინდუსტრიის ფედერაცია, საქართველოს გიდების ასოციაცია, აჭარის გიდების ასოციაცია, საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია, დაცული ტერიტორიების სააგენტო, ბათუმის ავტოტრანსპორტი, საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაცია, თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია, ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია, საქართველოს ბიზნესასოციაცია, საქართველოს ტელევიზიები და გაზეთები.

ადმინისტრაციული შენობის ახალი სიცოცხლე

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის მუნიციპალიტეტის 70-წლიან ისტორიაში მერიისა და საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა პირველი იყო, რომელმაც 1953 წელს კარები გაუხსნა ცალკეულ სტრუქტურებში დასაქმებულ მოხელეებს, რაიონის პირველი პირის ლევან უკლებას ხელმძღვანელობით

დროთა განმავლობაში ადმინისტრაციულ შენობას არემონტებდნენ, მაგრამ გარემონტებულს ისევ რემონტი სჭირდებოდა. კედლებიდან ბათქაში ცვიოდა. წვიმამ და თოვლმა კედლები დააზიანა, სახურავიდან ჩამომდინარე წყალი ფასადზე შეკიდულ კონდიციონერებზე ეწვეთებოდა და შენობის შიგნით ჟონავდა. წვიმის წყალმა ლამის აივნებიც ჩამოშალა. არადა, თავისი არქიტექტურით შუახევის ცენტრში არსებულ ადმინისტრაციულ შენობას ბადალი არ მოეძებნება. მან მას შემდეგ კიდევ უფრო მეტი სილამაზე შეიძინა, რაც მოსაზღვრედ მართლმადიდებლური ტაძარი აიგო.

- ტაძრის ფასადზე ხარაჩოები უკვე ჩამოხსნეს. ახლა ექსტერიერის მოპირკეთება-მოხატვის სამუშაოები მიმდინარეობს. უფლის ნებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის, სხალთელი მთავარეპისკოპოსის მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით ახლად აშენებული უფლის სახლი მრევლს წლის ბოლომდე მოუხმობს და საზეიმო ღონისძიების მომსწრენიც ვიქნებით. შემოდგომაზე «შუახევობას» ვიზეიმებთ. სწორედ ამ პერიოდისთვის ვაპირებთ კულტურის ცენტრის შენობის სარემონტო სამუშაოების დასრულებას. ღონისძიება რეაბილიტირებულ დარბაზში, სახეშეცვლილ სცენაზე გაიმართება. მრავალი სტუმარი გვეყოლება. ასევე, დასრულდება რუსთაველის ქუჩაზე საყრდენი კედლების მოპირკეთება, ტროტუარის მოწყობა. შუახევს უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტიორები არ აკლია. ასეთ ფონზე, უსახური ადმინისტრაციული შენობა კარგ შთაბეჭდილებას ვერ დატოვებდა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან 290 ათასამდე ლარის მობილიზება შევძელით მის შესაკეთებლად. საკონკურსო შერჩევის შემდეგ სამუშაოები შპს «კაიზელს» ვანდეთ. ფირმის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ერქომაიშვილმა, პროექტის ხელმძღვანელმა მურმან თოდრაძემ, ინჟინერ-კონსტრუქტორმა ლაშა თოდრაძემ კონკურსში გამარჯვებისთანავე აპრილის მესამე დეკადაში სამუშაოები დაიწყეს, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ.

ერთი თვე იწურება, რაც «კაიზელის» წარმომადგენლები შუახევში არიან. ფირმის ხელმძღვანელები, სარემონტო სამუშაოებზე დასაქმებული ოსტატები წვიმიან დღეებს არ ეპუებიან. უკვე დამამთავრებელ სტადიაზეა ოთახების კეთილმოწყობა. ფასადს მთლიანად შემოაცალეს ბათქაში, ჩამოხსნეს კონდიციონერები, რომლებსაც გარე კედლების მობათქაშებისა და შეღებვის შემდეგ, ისე შეფუთავენ, რომ სახურავიდან ჩამონადენმა წვიმის წყალმა, დაცურებულმა თოვლმა კედლები აღარ დაუზიანოს.

- ხელშეკრულებით, სამუშაოები 5 თვეში უნდა დავასრულოთ, - გვითხრა პროექტის ხელმძღვანელმა მურმან თოდრაძემ, არსებული ტემპი, დასაქმებული ოსტატების შრომისუნარიანობა საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ივლისის ბოლომდე შუახევის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს შენობას ახალ სიცოცხლეს დავუბრუნებთ.

შპს «კაიზელის» ხელმძღვანელები, დასაქმებული ოსტატები ხარისხსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. დაარსებიდან დღემდე უკვე 7 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოები აქვთ შესრულებული. მათ ნახელავს უქებენ მშობლიურ ოზურგეთში. თავის დროზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შენობის სარემონტო სამუშაოები ამ ფირმის ოსტატებმა შეასრულეს. დასაქმებულები გაწეული შრომის ანაზღაურებასაც არ ემდურიან. ამიტომაცაა, რომ ხარაჩოებზე დილიდანვე ჩნდებიან და სამუშაოს დაბინდებამდე აგრძელებენ.

- იმ დღეს ველოდები, როცა ფოლკლორულ ანსამბლ «შუახევის» სოლისტი ანალ სცენაზე დავდგები, - გვითხრა დაბა შუახევის მკვიდრმა ოთარ დავითაძემ.

მედეა ვასაძე თანაგუნდელთა ბოიკოტს შეუერთდა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„სხდომათა დარბაზში, როგორც განსხვავებული აზრის მქონე ადამიანი, დავრჩი სრულიად მარტო“ - აღნიშნული განცხადება აჭარის უმაღლესი საბჭოს ოპოზიციური ფრაქციის წევრმა მედეა ვასაძემ საკანონმდებლო ორგანოში გამართული პლენარული სხდომის დაწყებამდე გააკეთა და აღნიშნა, რომ ის სხდომებზე არდასწრებით ბოიკოტს აცხადებს, რითაც კოლეგებს უერთდება

- მოგეხსენებათ, განსხვავებული პოზიცია მქონდა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ გუნდს, რომელსაც მე მივეკუთვნები, გაცხადებული აქვს ბოიკოტი. მიუხედავად აღნიშნულისა, ვთვლიდი, რომ სხდომებში მონაწილეობა იყო ძალიან მნიშვნელოვანი და ვესწრებოდი კიდეც. რა თქმა უნდა, ამის გამო არავინ მსაყვედურობდა გუნდში, არც რეკომენდაცია იყო ვინმესგან, რომ შევერთებოდი ბოიკოტს, მაგრამ ჩემმა სხდომებზე დასწრებამ ვერ გამოიღო ის შედეგი, რა შედეგიც მსურდა, დამდგარიყო. აღმოჩნდა, რომ სხდომებზე ჩემმა დასწრებამ გამოიწვია პერსონალურად ჩემი პიროვნების არასწორი და დაუმსახურებელი კრიტიკა, შენიშვნები, ამ ყველაფერზე ჩემმა საპასუხო რეაქციამ გამოიწვია გარკვეული კონფლიქტური ვითარება, რის გამოც სხდომათა დარბაზში, როგორც განსხვავებული აზრის ადამიანი, დავრჩი სრულიად მარტო. ვინაიდან ჩემმა პოზიციამ არ გამოიწვია გარკვეული პოზიტიური შედეგი უმაღლესი საბჭოს სხდომების მიმდინარეობაში, მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზი და შევუერთდე ბოიკოტს, - განაცხადა მედეა ვასაძემ და დარბაზი დატოვა.

მედეა ვასაძის განცხადებას მმართველი გუნდიდან დეპუტატმა ტიტე აროშიძემ უპასუხა.

- ქალბატონი მედეას ბოიკოტი არც დააკლებს რამეს უმაღლეს საბჭოს და არც შემატებს. თუმცა,ზოგადად, კარგი იქნებოდა, პოლიტიკური ტრიბუნა გამოეყენებინათ ოპოზიციური პარტიის წევრებს, ვინაიდან ეს არის საუკეთესო საშუალება, პირველ რიგში, მიიღონ რეგიონისთვის სასიკეთო გადაწყვეტილებები და საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდონ, - აღნიშნა ტიტე აროშიძემ.

რას მოიაზრებს სამინისტრო მიმდინარე წლის მნიშვნელოვან პრიორიტეტად?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის საკანონმდებლო ორგანოში პლენარული სხდომა გაიმართა, რომელზეც, „მინისტრის საათის“ ფარგლებში, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრს მოუსმინეს

ზაზა შავაძემ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს 2022 წელს სამინისტროს მიერ გაწეულ სამუშაოებზე ანგარიში წარუდგინა, ასევე, სამომავლო გეგმებსა და პრიორიტეტებზე გაამახვილა ყურადღება.

მინისტრის ინფორმაციით, სამინისტროს 2023 წლის ბიუჯეტი 29 530 950 ლარით განისაზღვრა და ის, წინა წელთან შედარებით, 8 645 600 ლარით გაიზარდა. მისივე განცხადებით, სამინისტროსთვის პრიორიტეტს თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვა, მემცენარეობის და მეცხოველეობის ჯიშთგანახლება, მაღალეფექტური მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს. ამასთან, აქვთ მზაობა, გაიზარდოს ადგილობრივი პროდუქციის წარმოება, ხარისხი და კონკურენტუნარიანობა, გაძლიერდეს აგრარული ექსტენციის მიწოდება, გაიზარდოს მემცენარეობის და მეცხოველეობის დარგებში დასაქმებული ფერმერების და აგრომეწარმეების ცოდნის დონე. მინისტრი შეეხო სოფლად მეწარმეობის განვითარების და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამებს, რისთვისაც სამინისტრო 4 904 500 ლარს დახარჯავს და რომლის ფარგლებშიც 400-მდე ფერმერი დაფინანსდება.

- მიმდინარე წლისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს აგროსერვისის განვითარება რეგიონში, რომლის დაფინანსება შეადგენს 6 664 508 ლარს. განახლდა ქვეპროგრამები: მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა, აგრომომსახურების განვითარება, სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოება, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლებისა და მეცხვარეობის განვითარების ხელშეწყობა. ფერმერების ხელშეწყობის მიზნით, გრძელდება სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების უფასოდ დამუშავება. მიმდინარე წელს, პროგრამის ფარგლებში, შესაბამის აგროვადებში, 2 200 ჰექტარი ფართობი დამუშავდება. ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ თითოეულ ფერმერს სავარგული არ დარჩეს დაუმუშავებელი და მიიღოს მაქსიმალური მხარდაჭერა. დაფინანსება შეადგენს 1 284 000 ლარს. დღეის მდგომარეობით, ექვსივე მუნიციპალიტეტში უკვე დამუშავებულია დაახლოებით 1560 ჰა ფართობი მიწის ნაკვეთი. სახნავ-სათესი ფართობების დასამუშავებლად ჩართულია 35 ერთეული ტექნიკა. 2023 წელს გაგრძელდა აგრარული ექსტენციის მიწოდება რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების მიმართულებებით, ფერმერები და აგრომეწარმეები სავალე პირობებში გადიან სწავლებაკონსულტირებას, რომლის ბიუჯეტი 199 600 ლარით განისაზღვრა. დღეის მდგომარეობით, აგრარული ექსტენცია უკვე ჩაუტარდა 900-მდე ფერმერს. სამინისტრო აგრძელებს 20 სტუდენტის და კურსდამთავრებულის ანაზღაურებად სტაჟირებას, რომლის დაფინანსება 139 120 ლარია, - განაცხადა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

ზაზა შავაძემ ასევე ყურადღება გაამახვილა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს საქმიანობის მნიშვნელოვან პრიორიტეტებზე. მისი განმარტებით, მნიშვნელოვანია გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, ტყის დაცვა და მოვლა, ტყეების მდგრადი მართვა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება. გარდა ამისა, გაძლიერდება ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის მომსახურება და სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და ფიტოსანიტარიული კონტროლის მიზნებისათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების (ტესტირების) წარმოება, რომლის ბიუჯეტი 705 366 ლარს შეადგენს.

უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მინისტრის ანგარიშის მოსმენის შემდეგ დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 6 საკითხი განიხილეს. მათგან სამი საკითხი ეხებოდა უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას. აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძის განმარტებით, აღნიშნული ცვლილებათა პაკეტი სამ ნაწილად არის წარმოდგენილი. ერთი ნაწილი ეხება გენდერულ კვოტირებასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას (ოთხ დეპუტატში ერთი მაინც უნდა იყოს ქალი), ცვლილებების მეორე ნაწილი ელექტრონული წესით ჩასატარებელ არჩევნებს (როგორც ცნობილია, 2024 წლის არჩევნები ელექტრონული ფორმით ჩატარდება), ხოლო მესამე პაკეტი ეხება ანტიკორუფციული ბიუროს შექმნას, რაც გულისხმობს იმას, რომ თუ აქამდე უმაღლესი საბჭოს წევრები დეკლარაციებს საჯარო სამსახურის ბიუროში აბარებდნენ, აღნიშნული ცვლილებით მათ დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება უკვე ანტიკორუფციულ ბიუროსთან ექნებათ. დეპუტატებმა სხდომაზე ასევე მოისმინეს ადამიანის უფლებათა დაცვის, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო და საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტების ანგარიშები.

კიბერუსაფრთხოებისა და საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობის პერსპექტივები

ხატია იაშვილი 555 18 48 88

რისი გვეშინოდეს და როგორ დავიცვათ თავი კიბერშეტევის დროს, ზოგადად, რა უნდა ვიცოდეთ კიბერუსაფრთხოების შესახებ, რა პერსპექტივები გვაქვს ევროკავშირთან თანამშრომლობის კუთხით? ამ მნიშვნელოვან საკითხებზე სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისთვის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, ბათუმში, ტექნოპარკში სემინარი ჩატარდა, რომელსაც ორი სპიკერი ჰყავდა

ევროკავშირი - საქართველოს თანამშრომლობასა და სამომავლო პერსპექტივებზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე **გიორგი ჩიტაძე** გვესაუბრა, ხოლო კიბერსივრცისა და კიბერუსაფრთხოების არსზე, გამოწვევებსა და საქართველოსა და ნატოს თანამშრომლობაზე კიბერუსაფრთხოების სფეროში - კიბერუსაფრთხოების ბიუროს ინფორმაციული უსაფრთხოების უფროსი მენეჯერი **აკაკი შეყელაძე**.

„ინფორმაციული უსაფრთხოების გამოწვევები დღესდღეობით ყველა მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანია, ვინაიდან კიბერსივრცეში არსებული გამოწვევები დღითი დღე იზრდება და ჩვენი დღევანდელი სემინარიც სწორედ ამ გამოწვევების მიმოხილვა იყო. მსმენელებს გავაცანით კონკრეტული მავნე პროგრამები, რომლებსაც ჰაკერები იყენებენ კიბერშეტევისთვის და ასევე, მივეცით კონკრეტული რჩევები, რომ გააძლიერონ საკუთარი კიბერუსაფრთხოება, კომპიუტერული უსაფრთოება, სმარტფონის, ელექტრონული ფოსტის მოხმარებისა და სოციალური ქსელების კუთხით. კიბერშეტევები, ასევე, განვიხილეთ პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე, რასაც ლოგიკურად მოჰყვა დაინტერესებული პირების შეკითხვები, დისკუსია“, - გვითხრა კიბერუსაფრთხოების ბიუროს ინფორმაციული უსაფრთხოების უფროსმა მენეჯერმა აკაკი შეყელაძემ.

როგორც სემინარის ორგანიზატორმა, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელმა აჭარის რეგიონში ირმა გაბინაშვილმა აღნიშნა, დაგეგმილი შეხვედრის საშუალებით მსმენელებს შესაძლებლობა მიეცათ მიეღოთ ინფორმაცია საქართველოს ევროატლანტიკური პროცესის დინამიკასა და არსებული შესაძლებლობების გამოყენების მნიშვნელობაზე, ასევე, კიბერჰიგიენის ძირითად მიდგომებსა და ონლაინსივრცეში არსებული პრობლემების, საფრთხეების გამკლავების მეთოდებზე.

„ჩვენი შეხვედრის მიზანია, ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებულობის გაზრდა, გაცნობიერებული მხარდაჭერის განმტკიცება. ამ მიზნის მისაღწევად, საინფორმაციო ცენტრი მთელი ქვეყნის მასშტაბით ატარებს სამიზნე ჯგუფების სპეციფიკაზე მორგებულ საინფორმაციო კამპანიებს, საჯარო ღონისძიებებს, სემინარებს, საინფორმაციო შეხვედრებს, ღია დისკუსიებსა და შემეცნებით აქტივობებს. რეგიონული მედიის და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები საინფორმაციო ცენტრის ერთ-ერთი პრიორიტეტული აუდიტორიაა. აღნიშნულ სამიზნე ჯგუფთან კომუნიკაციის ძირითადი მიზანია, მათთან თანამშრომლობის გზით, ადგილობრივი მოსახლეობისთვის რელევანტური ინფორმაციების მოპოვება, გადამოწმება და მიწოდება, აგრეთვე, მათი ცოდნის გაღრმავება დასავლური ღირებულებების, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობის, არსებული შესაძლებლობების, გამოწვევების შესახებ, ამასთან, მათი აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა ინტეგრაციულ პროცესებში“, - აღნიშნა ირმა გაბინაშვილმა.

„ქუთაისი არის აეროპორტი, რომელიც სატრანზიტო კერაა და საშუალებას იძლევა, (რუსებისთვის) ფრენები ევროპაში განხორციელდეს“

რუსეთის ტურისტული ინდუსტრიის კავშირის ხელმძღვანელის მოადგილე დიმიტრი გორინის განცხადებით, რუსებისთვის, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის გავლით, ევროკავშირის ქვეყნებისკენ მორიგი სატრანზიტო მარშრუტი გაიხსნა.

„რია ნოვოსტის“ მოჰყავს გორინის სიტყვები: „Red Wings არის გადაზიდვის გაფართოება, მაგრამ უკვე ჩარტერული ფრენების სახით. ეს ფრენები განხორციელდება ძალიან მნიშვნელოვან მარშრუტზე: მოსკოვი-ქუთაისი, ხოლო ქუთაისი არის აეროპორტი, რომელიც სატრანზიტო კერაა და საშუალებას იძლევა, ფრენები ევროპაში განხორციელდეს“.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

იაპონიის ქალაქ ჰიროსიმაში გუშინ. „დიდი შვიდეულის“ მორიგი სამიტი დაიწყო. გაერთიანებული სამეფოს, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, აშშ-ის, კანადისა და იაპონიის ლიდერებმა ჰიროსიმას მშვიდობის მემორიალური პარკი მოინახულეს და ატომური ბომბის მსხვერპლთა კენოტაფი გვირგვინებით შეამკეს. „დიდი შვიდეულის“ ლიდერები სამიტის დროს უკრაინაში მიმდინარე კრიზისს და მისი მშვიდობიანად მოგვარების გზებს განიხილავენ. ამასთან, ისინი ჩინეთთან დაკავშირებულ საკითხებზეც იმსჯელებენ. სამიტზე წელს რვა სხვა ქვეყანაცაა მიწვეული: ინდოეთი, ბრაზილია, ავსტრალია, ინდონეზია, სამხრეთ კორეა, ვიეტნამი, ასევე, კომორისა და კუკის კუნძულები. სამიტი 21 მაისს დასრულდება.

* * *

უკრაინას ყველა საშუალება აქვს ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ლისაბონში პორტუგალიის პრემიერ-მინისტრთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე. მისი თქმით, რუსეთის უკანონო ომის დასაწყისიდან ნატოს წევრი სახელმწიფოები უკრაინას უპრეცედენტო დონის დახმარებას აწვდიან მსუბუქი ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღებიდან საჰაერო თავდაცვის თანამედროვე სისტემებამდე, ჯავშანტექნიკამდე და მძიმე საბრძოლო ტანკებამდე. „მივესალმები ალიანსის წევრების ბოლოდროინდელ განცხადებებს ფრთოსანი რაკეტებისა და დასავლური ავიაგამანადგურებლების გამოყენებისთვის უკრაინელი პილოტების გაწვრთნის შესახებ“, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

* * *

სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა განაცხადა, რომ რუსეთის მხრიდან მიიღეს შემოთავაზება და 25 მაისს, რუსეთის პრეზიდენტის შუამავლობით, მოსკოვში აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის პირველი პირების სამმხრივი შეხვედრა გაიმართება.19 მაისს მოსკოვში საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა შედგა, გარდა ამისა, 1-ელ ივნისს კიშინიოვში დაგეგმილია ხუთმხრივი შეხვედრა საფრანგეთის პრეზიდენტისა და გერმანიის კანცლერის მონაწილეობით. „მსგავსი ხუთმხრივი შეხვედრა ასევე დაგეგმილია ოქტომბერში გრანადაში. შემდეგი სამმხრივი შეხვედრა ბრიუსელში ივლისშია დაგეგმილი“, - აღნიშნა სომხეთის პრემიერმა.

* * *

მოლდოვას სურს, რაც შეიძლება მალე შეუერთდეს ევროკავშირს, ეს რუსული საფრთხისგან თავის დაცვაში დაგვეხმარება, - განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა მაია სანდუმ. „ჩვენი დემოკრატიის გადარჩენა მხოლოდ ევროკავშირში გაწევრიანებით შეგვიძლია. რუსეთი დარჩება არასტაბილურობის წყაროდ მომდევნო წლებში. ჩვენ უნდა დავიცვათ თავი“, - აღნიშნა მოლდოვის პრეზიდენტმა და იმედი გამოთქვა, რომ ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები უახლოეს თვეებში დაიწყება.

* * *

აშშ უკრაინაში მიმდინარე ომის „გაყინვის“ შესაძლო სცენარებს განიხილავს. გამოცემა **Politico** წერს, რომ სცენარები, რომლებიც ბაიდენის ადმინისტრაციაში განიხილება, დასახავს ხაზებს, რაზეც უკრაინა და რუსეთი შეთანხმდებიან, რომ არ გადაკვეთონ, მაგრამ ამავდროულად ოფიციალური საზღვრები არ იქნება. გამოცემის ცნობით, წინასწარი განხილვები თეთრ სახლსა და აშშ-ის სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში გაიმართა.

მოამზადა
ია შველიძემ

აჭარა 102

„ჩემი მიზანია, აქტიურად ვიყო ჩართული ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესში“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საგანმანათლებლო კერებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საამაყოა წარმატებული და მიზანმიმართული სტუდენტი, სწორედ განათლებული და კრეატიული ახალგაზრდები წყვეტენ ქვეყნის მომავალს. საქართველოში არაერთი ნიჭიერი სტუდენტია, სასიხარულოა, რომ ამ მიმართებით ბსუ გამორჩეულია და ჩვენი გაზეთიც მათ შესახებ არაერთგზის წერდა. დღეს ერთ-ერთ გამორჩეულ მათგანზე, საერთაშორისო ურთიერთობების დამამთავრებელი კურსის სტუდენტ ***გვანცა ზოიძეზე*** *შევაჩერეთ არჩევანი. ეს ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდა მნიშვნელოვან აქტივობებს ახორციელებს საგანმანათლებლო სფეროში... და თუ როგორ და რა შედეგები აქვს, ამ ინტერვიუში გაეცნობით.*

- ვიდრე თქვენს საქმიანობაზე ვისაუბრებდეთ, მკითხველს საკუთარი თავი წარუდგინეთ...

- ვარ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დამამთავრებელი კურსის სტუდენტი. ამ ეტაპზე, ვემზადები სამაგისტრო გამოცდებისთვის.

- თქვენ სახელმწიფო და, ასევე, ვახტანგ შამილაძის სახელობის სტიპენდიატი ხართ, რაც ძალიან საამაყოა. მოგვითხრეთ ამის შესახებ.

- მოტივაცია ჩვენს ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს. ძალიან კარგია, როცა შენ ირგვლივ აფასებენ შენს შრომას. სტიპენდიატობა გარდა იმისა, რომ სასიხარულოა, ვფიქრობ, გარკვეულწილად, პასუხისმგებლობაც არის - პირველ რიგში, საკუთარ თავთან. როცა პირველად გავხდი სტიპენდიატი, მიზნად დავისახე, რომ ყოველი მომდევნო სემესტრი უფრო პროდუქტიული უნდა ყოფილიყო და ასეც არის.

- აჭარაში ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის სტაჟიორი იყავით. რა გზა გაიარეთ ამ მიღწევამდე?

- სანამ ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის სტაჟიორი გავხდებოდი, მუდმივად ვადევნებდი თვალყურს ცენტრის საქმიანობას, ვესწრებოდი შეხვედრებს. მას შემდეგ, რაც სტაჟიორთა მისაღებად კონკურსი დაიწყო, საკმაოდ კონკურენტუნარიან გარემოში, არაერთი ეტაპი გავიარე. საბოლოოდ ამიყვანეს და დაიწყო რამდენიმეთვიანი საინტერესო და გამოწვევებით სავსე პერიოდი, რომელიც, ფაქტობრივად, დღესაც გრძელდება სხვადასხვა პროექტში ჩართულობის სახით.

- რა შედიოდა თქვენს მოვალეობაში?

- ჩემს მოვალეობაში შედიოდა ნატოსა და ევროკავშირის თემებზე სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებაში დახმარება, ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის გაცნობა, რომელსაც ევროკავშირი აფინანსებს, რეგიონში აქტიური საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის გამართვაში დახმარება და ა.შ.

- სტუდენტებისათვის რამდენად მნიშვნელოვანია მსგავს პროექტებში მონაწილეობა?

- ვფიქრობ, აუცილებელია, რომ ყველა სტუდენტი ცდილობდეს საკუთარი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას, იქნება ეს სტაჟირების პროგრამები თუ მოხალისეობრივი საქმიანობა. ეს გვეხმარება ჩვენი უნარების უკეთ განვითარებაში. ასევე, გარდა იმისა, რომ მსგავსი პროგრამები ჩვენ გვავითარებს, ორმხრივად მომგებიანიცაა. განსაკუთრებით, როცა საქმიანობა საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას ეხება, გააზრება იმისა, რომ შენი ქვეყნისთვის ამ ისტორიულ საქმიანობაში პატარა წვლილი მიგიძღვის, ორმაგ მოტივაციას გაძლევს.

- მრავალმხრივი ინტერესებით გამოირჩევით, მაინც სად ხედავთ საკუთარ თავს?

- ჩემი მიზანია, აქტიურად ვიყო ჩართული ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესში. გარდა ამისა, სტაჟირების პროგრამის ფარგლებში, უამრავ სტუდენტთან და სკოლის მოსწავლესთან მქონდა შეხება. ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო აღმოჩნდა მათთვის საინტერესო საგანმანათლებლო პროგრამების გაცნობა. ვფიქრობ, ჩემი მომავალი საქმიანობაც ახალგაზრდების ხელშეწყობასთან იქნება დაკავშირებული განათლების მიმართულებით, რათა ისარგებლონ იმ უამრავი შესაძლებლობით, რასაც აშშ-დან და ევროკავშირიდან ვიღებთ.

- კარგი საუნივერსიტეტო განათლების გარდა, კიდევ რა არის საჭირო, პროფესიაში წარმატებული რომ გახდე?

- გარდა განათლებისა, ვფიქრობ, რიგი უნარების ფლობა აუცილებელია, ისეთის, როგორიცაა: დისციპლინირებულობა, კრიზისული სიტუაციის მართვა. უნდა გვახსოვდეს, რომ შეცდომის დაშვება არ არის ტრაგედია, უნდა მოახერხო ემოციების გაკონტროლება და გააგრძელო სვლა წარმატებისკენ.

- სწავლობთ საერთაშორისო ურთიერთობებს, აქედან გამომდინარე, მინდა გკითხოთ: რამდენად მნიშვნელოვანია ევროატლანტიკური სტრუქტურების როლის, მათი ღირებულებების გაცნობა მოსახლეობისთვის და რამდენად არიან მოქალაქეები დღეს გაცნობიერებული დასავლურ ღირებულებებში?

- ახალგაზრდების დიდ ნაწილს რაციონალურად გააზრებული გვაქვს ევროატლანტიკური სივრცის როლი ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი საზოგადოება დიდი პროპაგანდის სამიზნეა, ასეთ ვითარებაში კი ინფორმაციის გადაცემა უფრო რთულდება. თუმცა, აუცილებელია, რომ მუდმივი აქტიურობით სწორი ინფორმაცია დავუპირისპიროთ იმ მითებს, რაც ნატოსა და ევროკავშირის შესახებაა გავრცელებული.

> ***„ ახალგაზრდების დიდ ნაწილს რაციონალურად გააზრებული გვაქვს ევროატლანტიკური სივრცის როლი ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი საზოგადოება დიდი პროპაგანდის სამიზნეა, ასეთ ვითარებაში კი ინფორმაციის გადაცემა უფრო რთულდება. თუმცა, აუცილებელია, რომ მუდმივი აქტიურობით სწორი ინფორმაცია დავუპირისპიროთ იმ მითებს, რაც ნატოსა და ევროკავშირის შესახებაა გავრცელებული***

- სტაჟირების ეტაპზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება რამ დატოვა თქვენზე?

- განსაკუთრებული იყო მაღალმთიანი აჭარის სკოლების მოსწავლეებთან შეხვედრები. როცა მათ საგანმანათლებლო პროგრამებზე ვესაუბრებოდი, ვგრძნობდი, რომ ბევრისთვის ეს დიდი მოტივაცია იყო. ბევრ მათგანთან დღემდე მაქვს კონტაქტი და ვცდილობ, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია გავუზიარო. ძალიან მინდა, მათ განათლების გაღრმავებაში დავეხმარო, საინტერესო პროექტზე ვმუშაობ და წარმატების შემთხვევაში აუცილებლად გაგიზიარებთ.

- თვისება, რომელიც მოგწონთ საკუთარ თავში, ყველაზე მეტად რას აფასებთ ადამიანებში?

- ადამიანებში ყველაზე მეტად უბრალოებას ვაფასებ. საკუთარ თავში, გარდა ამ თვისებისა, შრომისმოყვარეობა მომწონს.

- ვინ არიან ადამიანები, რომელთა არსებობამ და მაგალითმა ძალა შეგმატათ?

- ჩემი ოჯახი ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარი და ძალაა. ყველა კრიზისული ეტაპი მათთან ერთად გავიარე, ვფიქრობ, ძალიან გამიმართლა, რომ ასეთმა ძლიერმა ადამიანებმა გამზარდეს.

- ლიტერატურა, ხელოვნება და თქვენ... რა გიტაცებთ, რა მოგწონთ და რას კითხულობთ?

- სკოლის ასაკში ვქმნიდი აქსესუარებს, დროის სიმცირის გამო, სამწუხაროდ, ველარ ვახერხებ. ბოლო პერიოდში დაინტერესებული ვარ ახლოაღმოსავლური კულტურის შესწავლით. ლიტერატურა ამისთვის საუკეთესო გზაა. გამოვარჩევდი ავღანელი მწერლის ხალიდ ჰოსეინის ნამუშევრებს.

- დაბოლოს, რა შეგიძლიათ უთხრათ თქვენს თანატოლებს?

- არასდროს შეუშინდნენ გამოწვევებს, უკეთ გაიცნონ საკუთარი თავი და აკეთონ ის საქმე, რაც აბედნიერებთ!

ბსუ-ში ეროვნული სამოსისა და განათლების საერთაშორისო დღე აღინიშნა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ეროვნულ სამოსში გამოწყობილი გოგობიჭები, პატარები, ქართული ცეკვა და სიმღერა, - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ეროვნული სამოსისა და საერთაშორისო განათლების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას უმასპინძლა. ღონისძიებას მეტი ელფერი შესძინა უნივერსიტეტის უცხოელი სტუდენტების მიერ მოწყობილმა კუთხეებმა, სადაც მათ თავიანთი ქვეყნის ეროვნული ტანისამოსი წარმოადგინეს და ტრადიციები გააცნეს იქ მყოფ საზოგადოებას

- მოხარული ვარ, რომ ვიმყოფები საქართველოში და ვარ ამ უნივერსიტეტის სტუდენტი. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ „სტუდენტური დღეები 2023“-ის ფარგლებში ვესწრები არაერთ აქტივობას და შეიძლება ვთქვა, რომ დღეს ყველაზე ლამაზი სანახაობა ვნახე, რაც კი აქამდე გამართულ ღონისძიებებზე მინახავს. ძალიან მომწონს ქართული სამოსი, არაჩვეულებრივი ტრადიციები გაქვთ, განსაკუთრებით მოხიბლული ვარ ქართული ცეკვით, ეს საოცრებაა, - გვითხრა კირთი მონონჯანმა, რომელიც ინდოეთიდანაა და მედიცინის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია.

უნივერსიტეტის სტუდენტ ქეთევან მგელაძის თქმით, აღნიშნული ღონისძიება ხელს უწყობს ქართული ტრადიციების, კულტურის პოპულარიზაციას და მისი მნიშვნელობის გააზრებას თითოეულ ადამიანში.

- მიხარია, რომ სტუდენტური დღეების ფარგლებში ეს დღე ასე საინტერესოდ აღვნიშნეთ და კიდევ ერთხელ გავუსვით ხაზი იმას, რომ ქართული ეროვნული სამოსი დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მოხარული ვარ, როცა ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილ ამდენ ახალგაზრდას თუ პატარას ვხედავ, ვფიქრობ, უნივერსიტეტის ეზო დღეს ძალიან ლამაზი და მრავალფეროვანია მათით.

ღონისძიების ფარგლებში მოწყობილ გამოფენაზე როგორც საერთაშორისო, ასევე გაცვლითი პროგრამების წარმომადგენლებმა სხვადასხვა პროექტის პრეზენტაცია გამართეს, მათ შორის იყვნენ „ერაზმუს +“-ის გაცვლითი პროგრამის უცხოელი წარმომადგენლები:

- მოხარული ვარ, რომ ვმონაწილეობ ამ მნიშვნელოვან საერთაშორისო კვირეულში. „ერაზმუსის“ პროგრამის ფარგლებში პირველად ვიმყოფები აქ და ჩემთვის პატივია უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ცოდნის გაზიარება. აღნიშნული კვირეულის განმავლობაში ბევრი აქტივობა გვაქვს ჩანიშნული. იმედი მაქვს, მომავალშიც გავაგრძელებ უნივერსიტეტთან თანამშრომლობას, - აღნიშნა კოიმბრას უნივერსიტეტის პროფესორმა (პორტუგალია) ჟუალ ჟოზე ჟოაკიმ.

გამოფენაზე, ასევე, წარმოდგენილი იყო ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის, პროგრამა „ჰორიზონტ ევროპისა“ და საერთაშორისო განთლების ფონდის კუთხეები.

ცურვა – გზა ჯანსაღი ცხოვრებისკენ

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

მათთვის, ვისაც სურს, თავი ნებისმიერ ასაკში კარგად იგრძნოს, ცურვა შესანიშნავი საშუალებაა. სპორტის ამ სახეობაში სისტემატური ვარჯიში ორგანიზმზე საუკეთესო ზემოქმედებას ახდენს - აუმჯობესებს გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქ სისტემებს, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას.

ცურვის დროს ყველა კუნთი დინამიკურად მუშაობს, რაც ხელს უწყობს ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას. ცურვის დროს სუნთქვა სრულდება რთულ გარემო პირობებში. ჩასუნთქვის და, განსაკუთრებით, ამოსუნთქვის დროს, მოცურავეს უხდება წყლის წინააღმდეგობის დაძლევა, ამიტომ სპორტის ეს სახეობა ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა სასუნთქი კუნთების განვითარებისთვის. ცურვისას სხეულის ჰორიზონტალური მდგომარეობა აადვილებს გულის მუშაობას, რადგან ამ პირობებში სისხლის მოძრაობას სამძიმის ძალა არ ეწინააღმდეგება. დიდია ცურვის მნიშვნელობა ადამიანის ნერვული სისტემის ფორმირებისთვისაც. სპორტის ამ სახეობაში ვარჯიში ამცირებს აღგზნებადობას და ნერვულ დაძაბულობას, ადამიანი ხდება მშვიდი, უფრო გაწონასწორებული. ცივ წყალში დიდი ხნით ყოფნამ შეიძლება გამოიწვიოს სხეულის გადაცივება, მაგრამ მოცურავეს სხეულის ტემპერატურის შენარჩუნება უკეთ შეუძლია, ვიდრე არაადაპტირებულ ადამიანს. ამდენად, ცურვა ორგანიზმის გაკაჟების ერთ-ერთ ეფექტური საშუალებაა.

აღნიშნულ საკითხებზე უფრო ვრცლად „მარდი პლაზას“ ცურვის მწვრთნელი ***გიორგი ძათამაძე*** *გვესაუბრება.*

- ბატონო გიორგი, რომელი ასაკიდანაა რეკომენდებული ცურვა და რატომ?

- ჩვენთან მინიმალური ასაკი 6 წელია. ჩვენი აუზი ოლიმპიურ სტანდარტებს აკმაყოფილებს. რაკი მისი სიღრმე 2 მეტრია, 6 წლამდე ბავშვებისთვის სწავლება საკმაოდ რთულია. თუ აუზის სიღრმე მეტრს ან ოდნავ მეტს შეადგენს, მაშინ შესაძლებელია, ბავშვმა 3 წლიდანაც ისწავლოს ცურვა.

- რამდენი გაკვეთილი სჭირდება ცურვის შესწავლას ბავშვისთვის?

- ეს, რა თქმა უნდა, ინდივიდუალურია. არიან ბავშვები, რომლებსაც ათვისება უჭირთ, მეტი დრო სჭირდებათ, შესაძლოა - 3-4 თვეც, მაგრამ მყოლია ბავშვები, რომლებსაც 6-7 გაკვეთილში უსწავლიათ ცურვა. ამ საკითხში საშუალო მაჩვენებელი არ განისაზღვრება.

- რა უნდა გააკეთონ ბავშვებმა, რომლებსაც სურთ ცურვის კარგად შესწავლა?

- პირველ რიგში, მწვრთნელს უნდა მოუსმინონ. ყოველ გაკვეთილზე რაღაც ახალი ისწავლება. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია დღის განმავლობაში ბევრი წყლის მიღება. თუ ბავშვი გაკვეთილზე წყლის გარეშე მოდის, არ ვუშვებ. ზოგჯერ მეუბნებიან, რომ აგვიანებდნენ და ვერ მოასწრეს დალევა, ასეთ დროს ვეუბნები, რომ წყლის გარეშე სჯობს, საერთოდ არ მოვიდნენ. გაკვეთილის განმავლობაში აუცილებლად უნდა დალიონ წყალი. თუ ბავშვი 10 წლისაა, მინიმუმ 1 ლიტრი წყალი უნდა დალიოს. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია საკვები, ძილი და კარგი სწავლა.

- რა სირთულეებს ხვდებით ბავშვებთან ურთიერთობისას? რა ძირითად დაბრკოლებებს აწყდებიან ან ისინი ცურვის სწავლისას?

- ბავშვებთან, ძირითადად, არანაირი პრობლემა არ მაქვს. მათ როგორ ინფორმაციასაც მიაწვდი, ისე აღიქვამენ. უნდა იცოდე ფსიქოლოგია, როგორ მიხვიდე და იურთიერთო მათთან. თუ იცი ეს გზები, პრობლემა არასდროს გექნება. ყველაზე დიდი პრობლემა... მშობლებია. მქონდა ასეთი შემთხვევა - ღია აუზში, 2 მეტრი სიღრმის წყალში, ბავშვი მოიყვანეს, რომ შემემოწმებინა, შეეძლო თუ არა ცურვა. შევიყვანე, ძლივს შევიდა, ეშინოდა სიღრმის და მშობელს ვუთხარი, რომ დიდ აუზში ცურვას ვერ შევძლებდით, პატარა აუზში უნდა გადაგვეყვანა, მისგან კი ეს პასუხი მივიღე: მე არ მაინტერესებს, ფული მაქვს გადახდილი და ყველა შემთხვევაში შეიყვანეთო. ასე არ გამოდის, როცა ბავშვი აუზში მწვრთნელთან ერთად შედის, მწვრთნელს უდიდესი პასუხისმგებლობა აქვს. ყველაფერი წამების საქმეა. ბავშვმა თუ წყალი გადაყლაპა, დიდი ალბათობით, ჩაიძირება. მშობელს კი უნდა, მისი შვილი დიდ აუზში ცურავდეს, მაგრამ მწვრთნელმა უნდა შეაფასოს და გადაწყვიტოს, რა სჯობს. მშობლები ფიქრობენ, ფული თუ გადაიხადეს, ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ. ასე არ ხდება, რადგან ცურვა დიდ რისკებთან დაკავშირებული სპორტია. თუ ფეხბურთს თამაშობ, შეიძლება ფეხი, ხელი მოიტეხო, მაგრამ გადარჩები, ცურვა კი ყველაზე რისკიანი სპორტია.

- კვირაში რამდენჯერაა სასურველი ცურვის გაკვეთილები და რა ვარჯიშებს ასრულებენ მოსწავლეები?

- ვარჯიშებს რაც შეეხება, ბავშვის მდგომარეობას ვითვალისწინებთ. არიან ბავშვები, რომლებსაც ძვლოვანი სისტემის, ხერხემლის გარკვეული პრობლემები აქვთ და სპეციფიკური ვარჯიში სჭირდებათ. არიან ისეთები, ვისაც სტანდარტული მეცადინეობა უნდათ. ასევე, ვარჯიშობენ ისინიც, ვისაც ცურვა სპორტული განვითარებისთვის სჭირდებათ. სპორტული ჯგუფები სხვადასხვა ვარჯიშს მოიცავს. არის დაწყებითი, საშუალო და მაღალი დონის ვარჯიშები. ვასწავლით 4 სახეობის ცურვას, ესენია: კროლი, ზურგზე ცურვა, ბრასი და ბატერფლაი. თუ ბავშვი 11 წლამდეა, აუზში მაქსიმუმ, სამი გაკვეთილია კვირაში სასურველი და, პარალელურად, მას შეუძლია დაკავდეს ცეკვით, სხვა სპორტით. ბავშვი მხოლოდ ცურვაზე არ უნდა ვატაროთ და სხვა დანარჩენი არ უნდა დავბლოკოთ. 11-დან 13 წლამდე ასაკისა გადადის კვირაში 6 ვარჯიშზე, 15 წლამდე 8 ვარჯიშია და, თუ ნაკრების დონეზე გადადის, 10-12 ვარჯიშიც კი უწევთ კვირაში. გააჩნია, რა დონის მოცურავეა. ბავშვმა ცურვა რომ ისწავლოს, კვირაში 3 გაკვეთილი საკმარისია, გაჩნია ასაკს, 45 წუთიდან 1 საათსა და 15 წუთამდე. მყავს სხვადასხვა ასაკის ბავშვები, 15 წლის ბავშვები ერთ საათში 1000 მეტრს ცურავენ, 7 წლის ვინცაა, მაქსიმუმ 600 მეტრს თუ შეძლებენ. თუ შეამჩნევ, რომ ბავშვი დაღლილია, ყველა შემთხვევაში უნდა შეასვენო იმიტომ, რომ 1-2 თვის შემდეგ მას ცურვა აუცილებლად მობეზრდება და შესძულდება. მხოლოდ 30 წუთი წყალში, დაახლოებით მინუს 500 კალორიაა. რომ შევადაროთ, თუ ირბინეთ 1 საათის განმავლობაში, დახარჯავთ 600 კალორიას.

- მშობლების თემას რომ მივუბრუნდეთ, ძირითადად, რა მოლოდინები აქვთ?

- მთავარი პრობლემა ისაა, რომ მშობლებისთვის არავის აუხსნია, მსგავსი დამოკიდებულება რომ არ შეიძლება. ბავშვს ჟილეტი რომ ჩააცვა და პირდაპირ ჩააგდო აუზში, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. თუ ავიღებთ ავსტრალიას, ამერიკას და ასე შემდეგ, სადაც ცურვა ძალიან მაღალ დონეზეა, მსგავსი შემთხვევებისთვის მწვრთნელს ციხეში უშვებენ. არის სტანდარტები, რომლებზეც საქართველოში უნდა ვიმუშაოთ. ყველაზე მთავარი სუნთქვის სწავლაა, რადგან ისტერიკა გვეწყება, როცა დროზე ვერ ვსუნთქავთ. მშობლებისთვის ერთი რაღაც მაქვს სათქმელი: ბავშვმა კარგად გაცურა თუ ცუდად, მნიშვნელობა არ აქვს. ისინი მათ ხშირად მოტივაციას უკარგავენ და ეუბნებიან: ეს რა იყო, როგორ გადახტი, უფრო კარგად შეგეძლო. მოტივაცია ყველაზე მნიშვნელოვანია ნებისმიერ საქმეში. ახლა ერთი ბავშვი მყავს, ძლივს მივედი იმ დონემდე, რომ ვარჯიშის დროს გაიღიმოს. სულ სერიოზული იყო, სულ დათრგუნული და გუშინწინ გავიგე პირველად, რომ არ მოსწონს, როდესაც მეორე მიდის ფინიშთან. ეს იქიდან მოდის, რომ მშობლები სტრესავენ ბავშვებს, მათ ამბიციები აქვთ და ბავშვებიც შესაბამისად გამოხატავენ ამ საყვედურებს. თუ მწვრთნელს აქვს კვალიფიკაცია და იცის თავისი საქმე, მუშაობს უკვე დიდი ხანია ამ სფეროში, უნდა აცადონ საქმის კეთება. ყველაზე მთავარი მოთმინებაა, რომ ავუხსნათ მათ - რატომ უნდა გავაკეთოთ ასე და არა ისე, როგორც მათ სურთ.

- შეჯიბრი როგორი სიხშირით ტარდება?

- წელიწადში, სულ ცოტა, ორჯერ მაინც. ძირითადად, ზამთრისა და ზაფხულის დასაწყისში. შეჯიბრში ბათუმში არსებული სპორტკომპლექსების მოსწავლეები მონაწილეობენ. ახლო მომავალში თბილისში იგეგმება საქართველოს ჩემპიონატი ცურვაში, რომელშიც, სავარაუდოდ, ჩვენც მივიღებთ მონაწილეობას.

- როგორია აუზის სტანდარტი და როგორ იწმინდება წყალი?

- ზემოთაც აღვნიშნე, რომ არის ოლიმპიური სტანდარტის - 2 500 ტონის მოცულობის აუზი, რომლის სიგრძე 50 მეტრია, სიღრმე კი 2 მეტრი. სისუფთავის ნორმები ძალიან მაღალ დონეზეა დაცული. წყალი იქლორება, გადის ულტრაიისფერ დასხივებას და ყოველდღიურად იწმინდება ქვიშაზე. საღამოობით, სამუშაო საათების დასრულებისთანავე, აუზში უშვებენ სპეციალურ რობოტს, რომელიც აუზის ფსკერსა და კედლებს პირწმინდად ასუფთავებს, 8 თვეში ერთხელ კი აუზი მთლიანად იცლება.

- ბავშვებისთვის არის თუ არა სახიფათო ქლორიანი წყალი?

- იმდენად მცირეა ქლორის პროცენტულობა წყალში, რომ ბავშვებისთვის სრულიად უსაფრთხოა. მხოლოდ იმ შემთხვევაშია სახიფათო, თუ მომხმარებელი პრობლემურია ალერგიული ფონის თვალსაზრისით. აბონემენტის შეძენისას სავალდებულოა, ყველა მშობელმა იქონიოს ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა №100), დიდები კი კონსულტაციას ადგილობრივ ექთანთან გადიან. ბავშვებს საცურაო ქუდი სჭირდებათ, რადგან შეიძლება თმა გასცვივდეთ. წყალში არსებული ქლორი აშრობს როგორც კანს, ასევე თმას. ქლორს იმიტომ ურევენ, რომ ბაქტერიები მოკლას და თავი დაავადების გავრცელებისგან დავიცვათ. ასევე, ქუდი იმისთვისაა საჭირო, რომ ფილტრი თმებით არ გაიჭედოს. უნდა იქონიონ წყლის სათვალეც, თუმცა უნდა იცოდნენ, რომ ძალიან პირადი ნივთია და არ შეიძლება სხვებისთვის თხოვება და გაზიარება. შეიძლება სხვისი თვალიდან რაღაც პატარა ბაქტერია გადმოვიდეს თქვენზე და ამას ძალიან ცუდი შედეგი ჰქონდეს. თუ სათვალის გარეშე იქნებით, შეიძლება თვალებზეც იმოქმედოს, ჩაგიწითლდეთ და ასე შემდეგ.

- ცურვა, როგორც გამაჯანსაღებელი საშუალება...

- ცურვა აუმჯობესებს გულ-სისხლძარღვთა სისტემას, სისხლის მიმოქცევას, ხელს უწყობს ხერხემლის სწორ ფორმაში მოყვანას, ამშვიდებს ნერვულ სისტემას, სხეული მოჰყავს ტონუსში და ხელს უწყობს სიმაღლეში ზრდას. ძირითადად, ხერხემლის გამრუდების პრობლემით მოდიან. მყოლია ბავშვი მძიმე პრობლემითაც - მხრის მალებთან გაერთიანება ჰქონდა და ხელს ბოლომდე ვერ მართავდა, თუმცა 3-4-თვიანი ვარჯიშის შედეგად მდგომარეობა საგრძნობლად გაუუმჯობესდა და ხელიც გამართა.

> ***„ბავშვის მდგომარეობას ვითვალისწინებთ. არიან ბავშვები, რომლებსაც ძვლოვანი სისტემის, ხერხემლის გარკვეული პრობლემები აქვთ და სპეციფიკური ვარჯიში სჭირდებათ. არიან ისეთები, ვისაც სტანდარტული მეცადინეობა უნდათ. ასევე, ვარჯიშობენ ისინიც, ვისაც ცურვა სპორტული განვითარებისთვის სჭირდებათ“***

დამატებითი სანქციების დაწესებაზე შეთანხმდნენ...

ჰიროსიმაში მიმდინარე „დიდი შვიდეულის“ სამიტზე გავრცელებული განცხადების თანახმად, ამ ქვეყნების ლიდერები რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციების დაწესებაზე შეთანხმდნენ და დაადასტურეს თავიანთი ვალდებულება, დაუპირისპირდნენ მოსკოვის უკანონო, გაუმართლებელ და არაპროვოცირებულ ომს უკრაინაში.

„დიდი შვიდეული“ განმარტავს, რომ სანქციების მიზანია, რუსეთს და მათ, ვინც რუსეთის ომს მხარს უჭერს, კიდევ უფრო დიდი ფასის გადახდა დააკისროს და უზრუნველყოს, რომ რუსეთმა ენერგორესურსებზე ხელმისაწვდომობა იარაღად ვეღარ გამოიყენოს.

„გავაფართოებთ ჩვენს ქმედებებს, რათა უზრუნველვყოთ, რომ რუსეთის აგრესიისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ყველა ნივთის ექსპორტი, მათ შორის მათი, რომლებსაც რუსეთი ბრძოლის ველზე იყენებს, შეიზღუდოს ჩვენს ყველა იურისდიქციაში“, - ნათქვამია განცხადებაში.

„დიდი შვიდეულის“ ლიდერების განმარტებით, ეს მოიცავს „სამრეწველო ტექნიკის, ხელსაწყოებისა და სხვა ტექნოლოგიების ექსპორტს, რომლებსაც რუსეთი იყენებს თავისი საბრძოლო მანქანის აღსადგენად“. ძირითადი სექტორები, რომლებსაც სანქციები შეეხება, მოიცავს წარმოებას, მშენებლობას და ტრანსპორტირებას, ასევე ბიზნესსერვისებს.

ზემოხსენებულ განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ ისინი რუსეთის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ფასებზე ზედა ზღვრის შენარჩუნების ერთგული რჩებიან და გააძლიერებენ ძალისხმევას, რათა არ დაუშვან ამ ზღვრის თავიდან აცილება.

გარდა ამისა, ლიდერები ხაზს უსვამენ, რომ მშვიდობა შეუძლებელია უკრაინის ტერიტორიიდან რუსული ჯარებისა და სამხედრო ტექნიკის სრული და უპირობო გაყვანის გარეშე.

ამირან გურიელიძე

დარჩიძეებში სკოლის ახალი შენობის აგებას გეგმავენ

დარჩიძეების საჯარო სკოლა ერთ-ერთი წარმატებული საგანმანათლებლო კერაა შუახევის სინამდვილეში. წლებია, მას სათავეში უდგას ამ სოფლის მკვიდრი ***დავით სურმანიძე.*** *დღეს იგი საკუთარ საქმიანობაზე, პროფესიაზე გვესაუბრება.*

- ბატონო დავით, საკმაოდ კარგი მემკვიდრეობა გერგოთ...

- როგორც ამ სოფლის მკვიდრს და აქ მცხოვრებს, დარჩიძეების საჯარო სკოლის მოქმედ დირექტორს, მეტად საპასუხისმგებლო საქმე მაკისრია. დირექტორობა მარტო ხელმძღვანელობა არ არის. სოფლის, ავ-კარგის გათავისება, საზოგადოებრივი ცხოვრება მთელი ჩვენი პედაგოგიური კოლექტივის უპირველესი ამოცანაა. სერგო, კუკური ცეცხლაძეების, იოსებ აბაშიძის, ალექსანდრე ბერიძის დაწყებული საქმეები უნდა გაგრძელდეს. შეცდომების დაშვება გამოვრიცხეთ. თაობის დანატოვარს მაქსიმალურად ვუფრთხილდებით და ვცდილობთ, უკეთესი გარემო შევქმნათ სასწავლო პროცესისთვის, სკოლამ, რომელსაც ცოდნის, განათლებისა და კულტურის ტაძარს ეძახიან, გაამართლოს თავისი სახელი.

- ქვეყანაში მიმდინარე სასკოლო რეფორმის ფონზე მთისპირა სკოლის ხელმძღვანელისა და პედაგოგების წინაშე მთავარ გამოწვევად რა რჩება?

- ცალკეულ რეფორმებთან დაკავშირებული თანმიმდევრული სიახლეების დანერგვა მეტად საინტერესოა და უკეთესი შედეგის მომცემი იქნება. დღეის მდგომარეობით მთავარ პრობლემად მოსწავლეთა მცირე კონტინგენტი რჩება.

- სკოლის ხელმძღვანელის როლი საკუთარი ოჯახითაც იზომება. დარჩიძეების სკოლის კურსდამთავრებულთაგან თქვენი შვილი მერამდენე ექიმი იქნება?

- ჩემი ოჯახი შედგება ოთხი წევრისაგან. მეუღლე ციური ბერიძე 2000 წლიდან მუშაობს ჩვენი სოფლის მედდად და ასევე სკოლაში მოსწავლეების ჯანმრთელობასაც ვანდობთ. უფროსმა ვაჟმა - ლაშამ წარმატებით

დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი სტომატოლოგის სპეციალობით და თბილისში კვალიფიკაციის ასამაღლებლად რეზიდენტურაში სწავლობს თერაპიული სტომატოლოგია-ქირურგიის სპეციალობით. მეორე შვილი - ბექა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობს. ისიც მომავალი სტომატოლოგია, არის მე-4 კურსის სტუდენტი. სახელმწიფოს გრანტი აქვს მოპოვებული. ბექა სკოლის კურსდამთავრებულთაგან 39-ე ექიმი იქნება.

- ქვეყნის მასშტაბით დარჩიძეების სკოლა პირველია, რომელიც ნაადრევად გარდაცვლილი ადგილობრივი ექიმის სახელს ატარებს...

- შემთხვევითი არაა, რომ დარჩიძეების საჯარო სკოლა ჩვენი სოფლის მკვიდრი ექიმის - თემურ ცეცხლაძის სახელს ატარებს. იგი წუთისოფლიდან ნაადრევად, მაგრამ ვალმოხდილი წავიდა. სხვადასხვა დროს საპასუხისმგებლო თანამდებობებზე იმუშავა. ყველგან გულისხმიერებითა და მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მინდობილ საქმეს.

- რატომაა დარჩიძეებში ექიმის პროფესია ასეთი პოპულარული?

- ამ მხრივ სოფელი დარჩიძეები, მართლაც, წარმატებულია. ბატონი დიმიტრი ცეცხლაძე და მისი მეუღლე ლენა გვასალია იყვნენ პირველები. მიახლოებითი გათვლით, ჩვენი სოფლის მკვიდრთაგან, რომლებიც სხვაგან გადასულები არიან, 70-ს უმაღლესი სამედიცინო განათლება აქვს მიღებული. ისინი ქვეყნისა და უცხოეთის კლინიკებში სხვადასხვა მიმართულებით არიან დასაქმებულნი. უკვე ოჯახური დინასტიებიც იკვეთება. მთის მცირეკომლიან სოფელში ასეთი შედეგი მისასალმებელია. წელს დარჩიძეების საჯარო სკოლიდან 54-ე გამოშვებას ვაციელებთ. მათი რაოდენობა განისაზღვრება ექვსი მოსწავლით, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. წარმატებებს ვუსურვებთ მათ.

- თქვენი ძმებიცა და მამაც ექიმები არიან, გამოდის, ტრადიცია დაარღვიეთ...

- ოჯახში მოხუცებული ბებია და ბაბუა გვყავდა, რომლებსაც მზრუნველობა ესაჭიროებოდათ. მშობლებისა და ძმების ექიმობა მათ ძალიან წაადგათ, მაგრამ ადგილზე დასაქმება არ მოხერხდა. არჩევანის გაკეთება იმ პროფესიის შესაბამისად მომიხდა, რომელიც სოფელში მუშაობის შესაძლებლობას მომცემდა. ბედს არ ვუჩივი - მომავალი თაობის აღზრდასთან ერთად, ისიც დიდი და კარგი საქმეა, რომ ოჯახს გვერდით ვუდგავარ.

- მთისპირა, ზღვის დონიდან 1400 მეტრზე მაღლა მდებარე სოფელში სკოლის ახალი შენობის აგება იგეგმება. პროექტი რა ეტაპზეა?

- საკმაოდ კარგი, საშვილიშვილო საქმეა წამოწყებული სოფლის, მომავალი თაობის საკეთილდღეოდ. ახალი კაპიტალური სკოლის მშენებლობა ქვეყნისა და რეგიონის ხელისუფლების მხარდაჭერით დაიწყება. ამჟამად მიმდინარეობს პროექტზე მუშაობა, რომელიც უახლოეს პერიოდში დასრულდება.

- მოსწავლეთა კონტინგენტი როგორია?

- საბედნიეროდ, ამჟამად მოსწავლეთა კონტინგენტი, სხვა სოფლებთან შედარებით, საკმაოა.

- კვალიფიციური პედაგოგიური კადრები მთის სოფლებში ისევ პრობლემად რჩება, თქვენთანაც ასეა?

- წინასწარი გათვლებით, პედაგოგიური კადრების დეფიციტს არ უნდა ველოდოთ.

- სოფელი მარტო სკოლის შენობით ვერ შემოიფარგლება. ინფრასტრუქტურის მიმართულებით სხვა რა კეთდება?

- სკოლის შენობის გარდა, სოფლის ცენტრში გვაქვს „სოფლის სახლი“, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით გაკეთდა. ამჟამად მიმდინარეობს სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა, რაც ყველასთვის სასარგებლოა.

- წამოწყებული სახალხო დღესასწაული „დარჩიძეებობა“ რა მიზანს ემსახურება?

- „დარჩიძეებობა“ საქველმოქმედო ფონდ „შუბანის“ ორგანიზებით წამოვიწყეთ. ამ ფონდის ხელმძღვანელობისა და თითოეული წევრის მონდომებით ძალიან ბევრი კარგი საქმე გაკეთდა. „დარჩიძეებობა“ ერთად ყოფნის, სიყვარულის, მოფერებისა და სოფელზე ზრუნვის გამოხატულებაა. იმედია, ეს წამოწყება ტრადიციად იქცევა.

- დარჩიძეებელი იყო საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, მწერალი, 15-მდე წიგნის ავტორი შოთა ცეცხლაძე. მისი სახელის უკვდავსაყოფად აპირებთ რამეს?

- ბატონი შოთა მრავალ კარგ და კეთილ საქმეს აკეთებდა, რაც დავიწყებას არ უნდა მიეცეს. მისი ხსოვნა თაობიდან თაობას რომ გადაეცეს, ახალგაზრდებისთვის მაგალითად რომ იქცეს, ვფიქრობ, სკოლაში მოვაწყოთ კუთხე, სადაც მისი ცხოვრებისა და შრომის ამსახველი მასალები, წიგნები განთავსდება.

- მთისუბნის (გოგოლაურის) ისტორიული ციხე სავალალო მდგომარეობაშია. მისი ნაშთის გადარჩენა ყველას ვალია. სოფელი, სკოლა რა იდეას შემოგვთავაზებს?

- საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლია გოგოლაურის ციხე, რომელიც შესაძლებელია ერთ-ერთ ტურისტულ მიმართულებად იქცეს. საკმაოდ ბევრი ვიზიტიორი მოვა ამ ტერიტორიის დასათვალიერებლად. ციხის სარესტავრაციო სამუშაოების დაწყება დროულ საქმედ უნდა მიიჩნიონ კომპეტენტურმა ორგანოებმა.

ერთი ოჯახი – ორი აღმსარებლობა

გელა გოგიტიძე *შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგინაურში დაიბადა. აქვე მიიღო საშუალო განათლება, შემდეგ სტამბოლის საერთაშორისო უნივერსიტეტში თეოლოგის სპეციალობას დაეუფლა. ახლა იგი ჟურნალისტურ საქმიანობას ეწევა - საქართველოს მუსლიმთა საზოგადოების გაზეთ „რწმენის“ რედაქტორია. ქართულ, თურქულ ენებს ფლობს. მთარგმნელობით მუშაობასაც მისდევს.*

- 20 წლის წინანდელი არჩევანი რამ გადაგაწყვეტინათ?

- არჩევანს ჩემი წინაპრების მიერ დანატოვარ საუნჯეს - ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანს - რწმენას ვუმადლი, რამეთუ მთავარი, რაც ადამიანის ცხოვრებასა და ყოველდღიურობას აწესრიგებს, ღვთის რწმენაა. ამასთან დაკავშირებული ცოდნის მიღება და მიღებული ცოდნის შესაბამისად ცხოვრების გაგრძელება ყოველი ადამიანისთვის სავალდებულოა. მე ჩემი რწმენა მავალდებულებს ცოდნის მიღებას და სწორედ ამან განაპირობა ამ ნაბიჯის გადადგმა.

- სტამბოლში სწავლისას ენობრივი ბარიერი როგორ დაძლიეთ?

- სანამ სტამბოლში წავიდოდი, თურქული ენის საწყისი ცოდნა მივიღე. ენის სიღრმისეული ცოდნა სტამბოლის მარმარას უნივერსიტეტის თურქული ენის შემსწავლელი კურსების გავლით შევძელი.

- გაზეთის (თანაც რელიგიური მიმართულების) რედაქტორობა საკმაოდ რთული საქმეა. მანამდე რა გზა გამოიარეთ?

- გაზეთ „რწმენის“ რედაქტორობისას მხოლოდ თეოლოგიური მიმართულებით ვმუშაობ. რედაქციაში გვყავს ფილოლოგიური რე-

დაქტორი, რომელიც თავის საქმეს კარგად უძღვება.

- როგორია თქვენი ურთიერთობები ქართველ მუსლიმთა საზოგადოებასა და საქართველოს მუფთთან?

- ძალიან კარგი. საქართველოს მუფთთან, ბატონ ადამ შანთაძესთან დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს. მას დიდი წვლილი მიუძღვის მუსლიმი მოსახლეობის სამსახურში.

- ამ ეტაპზე თანადგომას ვინ გიწევთ?

- ფინანსურ თანადგომას თუ გულისხმობთ, გეტყვით, რომ ვმუშაობ სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოში“, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს.

- რჩევებს ვისგან იღებთ?

- სამსახურებრივ საქმიანობაში დავალებებს საქართველოს მუფთისგან ვიღებ.

- სიყვარულს რომ საზღვარი არ აქვს და ხელს ვერც მრწამსი შეუშლის, ეს თქვენი და ირმა მიქიაშვილის ოჯახური იდილიიდანაც ჩანს.

- ოჯახის შექმნის დროს, შეიძლება ითქვას, წინააღმდეგობა არ მქონია, გავიცანი მომავალი მეუღლე, გავუგეთ ერთმანეთს და გადავწყვიტეთ ოჯახის შექმნა, აქ რაიმე სახის წინააღმდეგობა, თუნდაც აღმსარებლობასთან მიმართებაში, არ ყოფილა.

- მეცხრეკლასელი და მცირეწლოვანი შვილების მშობლები ხართ. შვილები წინაპრების აღმსარებლობის გზას რომ დაადგნენ, როგორი რეაქცია გექნებათ?

- გვიყვარს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მხარე და ჩვენი ხალხი. ასევე, გვიყვარს ჩვენი რწმენა და თითოეული ჩვენგანი ისე ვზრდით შვილებს, რომ ვასწავლოთ სამშობლოს, რწმენის სიყვარული და ადამიანური ღირებულებების პატივისცემა. დიდი პასუხისგმებლობაა, რომ მათ ვასწავლოთ რწმენა - გაუაზრებლად და ბრმად კი არ უნდა ირწმუნონ, არამედ რწმენის საბაზისო ცოდნა უნდა გააჩნდეთ. ასე მესახება ნებისმიერი მშობლის დამოკიდებულება შვილების აღზრდის მიმართულებით.

- დამოკიდებულება სხვა აღმსარებლობის მიმდევრებთან...

- ახლა ვცხოვრობთ მრავალკონფესიურ ქვეყანაში, სადაც სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები ერთად და მშვიდად ცხოვრობენ - ისინი ჩვენი მეზობლები და თანამოქალაქეები არიან, რომლებთანაც ვმეგობრობთ, ვმეზობლობთ და პატივისცემით ვეკიდებით. გარდა ადამიანური ვალდებულებისა, ამას ჩვენი რწმენაც გვასწავლის. სიმართლით ცხოვრება, ურთიერთპატივისცემა აუცილებელია.

- მეუღლე ინგლისური ენის სპეციალისტია, თავად რამდენიმე ენას ფლობთ. როგორია ოჯახისა და შვილების დამოკიდებულება მშობლიური ენისადმი?

- რაც შეეხება უცხო ენების ცოდნას - ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ უპირატესობას ყოველთვის მშობლიურ ენას ვანიჭებთ. ასეთივე სულისკვეთებით ვზრდით შვილებს. საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის მშობლიური ენის ცოდნა ყოველთვის წინა პლანზე უნდა იყოს და მისი სიღრმისეულად შესწავლის პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს.

- თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს მშობლების დამოკიდებულება შვილების პროფესიული არჩევანისადმი?

- მშობლები შვილებს თავიანთ მოსაზრებებს აუცილებლად უნდა უზიარებდნენ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც შვილების სურვილი და არჩევანია საკუთარი მიდრეკილებების გათვალისწინებით. ჩვენ მხოლოდ მათი ხელშეწყობა და მხარდაჭერა გვევალება.

- რელიგიური ლიტერატურის ქართულად თარგმნის კარგი სპეციალისტი ხართ. მხატვრული ლიტერატურის თარგმნასაც ხომ არ გეგმავთ?

- ყოველთვის მიყვარდა წიგნის კითხვა, რაც დამეხმარა, მქონოდა სიტყვის მარაგი. ალბათ არ გამიჭირდება მხატვრული ნაწარმოების თარგმნა, მაგრამ, რა თქმა უნდა, სწავლა სიკვდილამდე გვჭირდება და ცოდნის ასამაღლებლად დროს არ ვიშურებ.

- ღვთის მსახური, უფლის მავედრებელი ადამიანი ქველმოქმედებას, სხვების თანადგომას და ზრუნვას უპირველეს მოვალეობად მიიჩნევს, ვიცი, რომ თურქეთში სამკურნალოდ წასულებს ეხმარებით...

- სრულიად გეთანხმებით, თანადგომა აუცილებელია. ვფიქრობ, ნებისმიერი ადამიანი, ვისაც უყვარს სამშობლო და, ზოგადად, ადამიანი, მათზე ზრუნვისთვის ყოველთვის გამონახავს დროს და შესაძლებლობას.

- მშობლებსა და ოჯახზე რას იტყვით?

- ყოველი შვილი ვალდებულია, მშობლისადმი მზრუნველობა და გულისხმიერება გამოიჩინოს, ისე, როგორც ამას თავის დროზე მშობლები იჩენდნენ შვილების მიმართ. სამივე ძმა, შესაძლებლობების ფარგლებში, თანაბრად ვზრუნავთ მშობლებზე. მათ რთული პერიოდი გამოიარეს, მაგრამ ღვთის იმედი და სიცოცხლის ხალისი არასოდეს დაუკარგავთ.

- დაბოლოს, რა ურთიერთობები ჩამოგიყალიბდათ თურქეთში მცხოვრებ ჩვენებურებთან?

- საკმაოდ ბევრ ჩვენებურს ვიცნობ, გვაქვს ურთიერთობები, ბევრთან ვმეგობრობ. სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ ისინი იქ საქართველოს სიყვარულით ცხოვრობენ, სიამაყით ივსებიან, როცა მათ „გურჯებს“ ეძახიან, დიდ პატივს სცემენ საქართველოდან ჩასულ ქართველებს განურჩევლად მათი აღმსარებლობისა. სტუმართმოყვარეობა არ აქვთ დაკარგული და არც ჩვენ ვაკლებთ ყურადღებას, როდესაც საქართველოში ჩამოდიან.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

გაუმარჯოს სიცოცხლეს!

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ხელოვნების მუზეუმის გალერეაში დედა-შვილ რუსუდან მჟავანაძისა და თეა ჭანტურიშვილის ნამუშევრების გამოფენაზე 30 ფერწერული, გრაფიკული, სამოსის დიზაინისა და კომპიუტერული გრაფიკით შექმნილი ნამუშევრები იყო წარმოდგენილი

თეა ჭანტურიშვილი ამჟამად აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსია. როგორც გვითხრა, ხატვა მისი გატაცება, სიცოცხლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების გამოხატულებაა და სწორედ ამიტომ უწოდა გამოფენას „გაუმარჯოს სიცოცხლეს!“.

რუსუდან მჟავანაძე პედაგოგია, სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასში“ ხელოვნებას ასწავლის, მისი ნაშრომები იტალიის, რუსეთის, საქართველოს (თბილისსა და ბათუმში) კერძო კოლექციებში ინახება.

ოცდაათი ნახატიდან ქალბატონ რუსუდანის 12 კომპიუტერული გრაფიკა იყო წარმოდგენილი, ხოლო თეა ჭანტურიშვილის შემოქმედებიდან გამოფენაზე 30 წლის წინანდელი რამდენიმე ესკიზი, დიზაინერული ნამუშევარი, ფერწერული ტილოები და გრაფიკა გამოიფინა.

- ორსულობის დროს, როცა შვილს ველოდებოდი, ყველაზე პოზიტიური ნახატები გამოვიდა და ისინი ფერებითაც გამოირჩევა. არის ექსპრესიული ფერებიც, რომლებიც ნეგატივის გადმოტანას და გაქარწყლებას ემსახურება. არშემდგარი მხატვარი ვარ, თუმცა როგორც მოყვარულმა, ხატვა გავაგრძელე. აქ წარმოდგენილი ნახატები 20-30 წლის წინაა შექმნილი. ახალი თითქმის არცერთია, - გვითხრა თეამ, რომელსაც ექსპერიმენტები ძალიან უყვარს, ამიტომ აქვს ფანქრით, ზეთის საღებავით, აკრილით, გუაშით, შერეული ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები, ბევრი აქვს გაჩუქებული. ძალიან სერიოზული თემები არ მოსწონს, შექმნილი აქვს პორტრეტები, ნატურმორტი, უყვარს ფანტაზია, აბსტრაქცია.

რუსუდან მჟავანაძის ნამუშევრები კომპიუტერითაა შექმნილი. პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ხატვა არასოდეს შეუწყვეტია. პერიოდულად ქმნის ნამუშევრებს ზოგს ექსპერიმენტულად, ზოგს - აკადემიურად. გამოფენაზე არასოდეს უფიქრია, შვილმა მოუწყო სიურპრიზი და მისი ქმნილებები გამოფინა.

- ბედნიერი ვარ ჩემი პროფესიით, რადგან ხელოვნებას ვასწავლი ახალგაზრდებს და ვაყვარებ ამ სფეროს. საკუთარი სიამოვნებისთვის და ახლობლებისთვის ვხატავ, - გვითხრა ქალბატონმა რუსუდანმა, რომელიც ლიცენზირებული პედაგოგია. უნდოდა, მხატვარი გამხდარიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. ერთი პერიოდი ანტონ ფილიპოვთან ეუფლებოდა ხატვას და თვლის, რომ ის მისი პედაგოგი იყო, თუმცა ისე მოკლე დროით, რომ მაინც თვითნასწავლად მიიჩნევს თავს. ქალბატონი რუსუდანი ამჟამად ხატვასაც და თეორიასაც ასწავლის ბავშვებს, ამბობს, რომ ამაში ანტონ ფილიპოვთან გავლილი გაკვეთილები ძალიან ეხმარება. პერიოდულად ყოველთვის ხატავდა და ეს სიყვარული მის ქალიშვილსაც გადაედო. ის, რომ თეა ჭანტურიშვილს მართლაც უყვარს ეს ხელოვნება, მის მშვენიერ ნახატებშიც იგრძნობა.

გამოფენის გახსნას აჭარის ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

მუზეუმების პოპულარიზაციისათვის

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის ხელოვნების მუზეუმში მუზეუმის მოყვარულთა კლუბი დაარსდა. მის წევრებს შესაძლებლობა ექნებათ, ჩაერთონ საექსპოზიციო დარბაზში მეთვალყურეების მუშაობაში, აჭარის მუზეუმის საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობაში, გაიარონ მუზეუმის გიდის მოსამზადებელი ტრენინგი, გაეცნონ მუზეუმის ფონდებში მუშაობის ძირითად პრინციპებს, ეკონტაქტონ ვიზიტიორებს და სხვა მრავალ აქტივობაში მიიღონ მონაწილეობა

- აღნიშნული კლუბი იქნება მოხალისეობრივი და მასში, ამ ეტაპზე, გაერთიანდებიან 14-დან 29 წლამდე ასაკის ადამიანები, ხოლო მოგვიანებით სხვადასხვა მიმართულებებს და ასაკობრივ კატეგორიას შევთავაზებთ საზოგადოებას. ისინი ჩაერთვებიან სამუზეუმო საქმიანობაში. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სამუზეუმო ცხოვრება ძალიან მრავალფეროვანია. ჩვენს სამუზეუმო გაერთიანებაში თითოეული მუზეუმი თემატიკით, შინაარსობრივი დატვირთვით სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან. კლუბი მოემსახურება მუზეუმების პოპულარიზაციას. ახალგაზრდები, რომლებიც გაერთიანდებიან კლუბში, მონაწილეობას მიიღებენ ღონისძიებებში, გამოფენებში, საექსპოზიციო საქმიანობაში. ვფიქრობ, ეს ერთგვარად იქნება ხელშეწყობა პროფესიისა, რომელიც არცთუ პოპულარული იყო წარსულში და დღესდღეობით, ვფიქრობ, უკვე იკრებს ძალებს, რომ გახდეს ძალიან პოპულარული. არ არის ადვილი, მუზეუმის თანამშრომელი გერქვას, ეს დიდი პასუხისმგებლობაა. იქიდან გამომდინარე, რომ იცავ კულტურულ მემკვიდრეობას, ზრუნავ შენს წარსულზე, აწმყოზე და ამ ყველაფერს უნახავ მომავალ თაობებს. დღეს თუ არ დავნერგეთ ახალგაზრდებში მუზეუმებისადმი სიყვარული, სამუზეუმო საქმიანობა და მუზეუმები ზოგადად, გრძელვადიან პერსპექტივაში ვერ მოიპოვებს მდგრადობას. დღეს წარვადგინე თემა „ბათუმი მუზეუმების ქალაქი“, ვისაუბრე ჩვენი მუზეუმების შესახებ, თუ რას წარმოვადგენთ, რა სახის მომსახურება დახვდებათ ჩვენთან მოსულ ვიზიტორებს. აღნიშნული პრეზენტაციის მიზანია, ვაჩვენოთ ადამიანებს რომ ბათუმი მართლაც არის მუზეუმების ქალაქი. ამ პატარა ქალაქში შვიდი მუზეუმია და მერვე მუზეუმის რეკონსტრუქცია დაიწყება ძალიან მალე. პრიორიტეტებს რაც შეეხება, წელს გამორჩეული ვიქნებით საერთაშორისო მიმართულებით. ორ ძალიან მნიშვნელოვან საერთაშორისო გამოფენაში მივიღებთ მონაწილეობას. ასევე, არაერთი სიახლე გვექნება სამეცნიერო კუთხით. ოთხი ექსპედიცია ჩაინიშნა აჭარის მაღალმთიანეთში და აგრეთვე საექსპედიციო ველებზე. ვფიქრობ, აქაც გვექნება მნიშვნელოვანი წინსვლა და არაერთი მონაპოვარი იმისათვის, რომ შემდგომ კიდევ უფრო გავამდიდროთ ჩვენი ფონდები, კულტურული მემკვიდრეობის ნაწილში კიდევ უფრო გავამდიდროთ ჩვენი ისტორია, - განაცხადა მუზეუმის გაერთიანების დირექტორმა თეონა ზოიძემ.

ღონისძიების დასასრულ ახალგაზრდებმა საინტერესო პერფორმანსი წარმოადგინეს. მათ მუზეუმების ექსპოზიციები გააცოცხლეს.

უკრაინა

უკრაინაში საომარი მოქმედებები გრძელდება. საჰაერო განგაში იყო გამოცხადებული ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის კიევშიც. აგრესორმა დედაქალაქზე იერიში კამიკაძე დრონებით მიიტანა, თუმცა უკრაინული მხარის ცნობით, ყველა მათგანი განადგურებულია. დაიბომბა ხარკოვის სოფელი ცირკუნი, სადაც 1 ადამიანი დაიღუპა, 2 კი დაშავდა. დაზიანდა საცხოვრებელი სახლები. რუსებმა იერიში მიიტანეს დნეპროპეტროვსკის ოლქის ქალაქ ნიკოპოლზეც, რის შედეგადაც დაზიანდა ინფრასტრუქტურა. იერიშს მსხვერპლი არ მოჰყოლია. უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბახმუტის მიმართულებით უკრაინის წარმატებაზე საუბრობს. ანა მალიარის თქმით, ისინი ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს აკონტროლებენ. აღნიშნული მიმართულებით რუსების მარცხზე დაჯგუფება „ვაგნერიც“ იუწყება და აცხადებს, რომ ქალაქიდან რუსეთის ძალები უკან იხევენ.

* * *

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკისა უსაფრთხოების საკითხებში ჯოზეფ ბორელი ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობებს სთავაზობს, „ევროპის სამშვიდობო ფონდის“ მოცულობა, საიდანაც უკრაინისთვის სამხედრო დახმარება ფინანსდება, 3,5 მილიარდი ევროთი გაზარდონ, - ინფორმაციას Reuters-ი ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებს. სააგენტოს ცნობით, ფონდმა უკრაინისთვის დაახლოებით 4,6 მილიარდი ევროს ღირებულების სამხედრო დახმარება უკვე გამოყო. ბორელის წინადადების განხორციელებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობების თანხმობა სჭირდება, რომლებიც გასული წლის დეკემბერში შეთანხმდნენ, რომ „საჭიროების შემთხვევაში“ ასეთი ზრდა გამართლებული იქნებოდა. წყარომ, რომელიც ევროკავშირის მაღალჩინოსანია, სააგენტოსთან საუბარში განაცხადა, რომ ბორელმა გადაწყვიტა, ფონდის მოცულობის გაზრდა ეთხოვა, რადგან ის იწურება. Reuters-ი წერს, რომ ფონდი განცალკევებულია ევროკავშირის ბიუჯეტისგან, რომელსაც სამხედრო ოპერაციების დაფინანსების უფლება არ აქვს, მაგრამ ის ფაქტი, რომ ევროკავშირის ქვეყნები გაერთიანდნენ, რათა იყიდონ იარაღი და საბრძოლო მასალა რუსეთთან ომში მყოფი ქვეყნისთვის, ისტორიული ნაბიჯია ბლოკისთვის, რომელიც ათწლეულების განმავლობაში თავს არიდებდა თავდაცვისა და სამხედრო საკითხებში ჩარევას.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ჰიროსიმაში „დიდი შვიდეულის“ სამიტს დაესწრება. ამის შესახებ Bloomberg-ი ინფორმირებულ წყაროებზე დაყრდნობით წერს. ზელენსკი ამერიკული სამხედრო თვითმფრინავით იაპონიაში მას შემდეგ გაფრინდება, რაც საუდის არაბეთში არაბული ლიგის სამიტში მიიღებს მონაწილეობას. Bloomberg-ი აღნიშნავს, რომ აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოს სპიკერმა კომენტარის გაკეთებაზე უარი თქვა. იაპონიის ოფიციალური პირები წარსულში ამბობდნენ, რომ ზელენსკი სამიტს შეუერთდება.

* * *

იტალია უკრაინელ ახალწვეულებს იტალიის სამხედრო ობიექტებში მოამზადებს, ასევე მონაწილეობას მიიღებს ევროკავშირის სასწავლო პროგრამებში. ამის შესახებ იტალიის თავდაცვის მინისტრმა გვიდო კროზეტომ განაცხადა. ამ დროისთვის, იტალიის თავდაცვის სამინისტრო განიხილავს უკრაინელი ჯარისკაცების წვრთნის ევროპულ ინიციატივაში მონაწილეობის შესაძლებლობას „შტაბის პერსონალის ბრიუსელში, პოლონეთსა და გერმანიაში გაგზავნით და ასევე შეუძლია შესთავაზოს სპეციალიზებული სასწავლო მოდულები, რომლებიც იტალიის სკოლებსა და სამხედრო ობიექტებში ჩატარდება“, - თქვა კროზეტომ. „ეროვნული წვლილი ევროკავშირის მიერ განხორციელებულ ინიციატივებში ითვალისწინებს 2023 წლიდან, უკრაინის სამხედრო დახმარების ახალ მისიაში მონაწილეობას, რომელიც მიზნად ისახავს უკრაინის შეიარაღებული ძალების მხარდაჭერას საწვრთნელი აქტივობების ჩატარებით და მათი პოტენციალის გაზრდით“, - აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა. 13 მაისს იტალიას უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ეწვია. მასთან შეხვედრის შემდეგ, იტალიის პრემიერმა ჯორჯა მელონიმ განაცხადა, რომ უკრაინა რუსეთის წინააღმდეგ ომში აუცილებლად გაიმარჯვებს.

* * *

ნორვეგიის თავდაცვის მინისტრმა ბიორნ არილ გრამმა უკრაინისთვის ახალი სამხედრო დახმარება გამოაცხადა. ამასთან, ნორვეგია დიდ ბრიტანეთში უკრაინელი სამხედროების მომზადების პროგრამაში მონაწილეობას გაზრდის. როგორც მინისტრმა აღნიშნა, მისი სახელმწიფო უკრაინას სამხედრო დახმარებას დიდი ბრიტანეთის მიერ დაარსებული სპეციალური ფონდით უწევს. „ამ ზაფხულიდან ნორვეგია გააორმაგებს ჩვენი ინსტრუქტორების რაოდენობას ოპერაცია Interflex-ში“, - თქვა გრამმა. მან ასევე განაცხადა, რომ ნორვეგია უკრაინას შორ მანძილზე მოქმედ საარტილერიო სისტემებს და რადარებს გადასცემს. „ნორვეგია უკრაინას სამ Arthur-ის საარტილერიო რადარს და რვამდე სარაკეტო სისტემას გადასცემს. დახმარება გაერთიანებულ სამეფოსთან მჭიდრო თანამშრომლობით გაიგზავნება“, - თქვა მან. M270-ის სარაკეტო სისტემებს სამიზნეების განადგურება დაახლოებით 80 კილომეტრზე შეუძლიათ.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეროვნის ქ. №2ᵃ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 19/05/23, 21 ¹⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ახალგაზრდა მწერლებისთვის ფრიდონ ხალვაშის სახელობის პრემია დაწესდება

„ფრიდონობა“ – ბათუმში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

17 მაისი ქართველი პოეტისა და პროზაიკოს ფრიდონ ხალვაშის დაბადების დღეა

მწერლის, საზოგადო მოღვაწის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, თბილისის საპატიო მოქალაქის, საპატიო ბათუმელის, საქართველოს პარლამენტის წევრის, აჭარის უმაღლესი საბჭოს არაერთგზის დეპუტატის, სახელმწოფოებრივად მოაზროვნის, დიდი მამულიშვილის დაბადების დღე მისი გარდაცვალების შემდეგ ყოველ წელს სახალხო დღესასწაულით „ფრიდონობა“ აღინიშნება. ის მის სიცოცხლეშივე დაარსდა პოეტების ვახტანგ ღლონტისა და დავით თედორაძის ინიციატივით, ხოლო ფრიდონ ხალვაშის გარდაცვალების შემდეგ სახალხო დღესასწაულად გადაიქცა, რომელზეც მის მშობლიურ სოფელ გეგელიძეებში მთელი საქართველო ჩამოდიოდა. „ფრიდონობა“ პანდემიის გამო რამდენიმე წელია აღარ ჩატარებულა. წელს სპეციალურად ამ დღისთვის მოქანდაკე თემურ მახარაძის მიერ შესრულებული ფრიდონ ხალვაშის სკულპტურა დაიდგა იმ შენობის წინ, სადაც დიდი პოეტი 37 წელი ხელმძღვანელობდა აჭარის მწერალთა კავშირს.

ამ თარიღთან და ფრიდონ ხალვაშის ბიუსტის გახსნასთან დაკავშირებით ქალაქის პარკში, მწერალთა სახლის წინ მოვიდნენ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, ბათუმის საკრებულის თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარძე, ბათუმის მერის მოადგილე სოფო ხალვაში, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, საზოგადოების სხვა წარმომადგენლები, ოჯახის ახლობლები.

სახელდახელო შეკრებას აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე დავით თედორაძე უძღვებოდა. როგორც მან აღნიშნა, ბატონ ფრიდონთან ერთად არაერთგზის შემოუვლია საქართველო და ხედავდა, როგორ პატივს სცემდნენ მას თავად კლასიკოსები - ისინი ფრიდონ ხალვაშს აჭარასთან აიგივებდნენ.

- არაერთხელ მითქვამს და დღესაც ვიტყვი, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში აჭარას ფრიდონზე დიდი საზოგადო მოღვაწე არ ჰყოლია. მან საკუთარი მხრებით მოიტანა ის დიდება, რომელიც დღეს აჭარას აქვს. ფრიდონი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მწერალი იყო. ის მთელი შეგნებული ცხოვრება ქრისტიანულად, მართლმადიდებლურად ცხოვრობდა, თუმც 85 წლის ასაკში მოინათლა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მონათლა, რითაც მომავალ თაობებს გზა მისცა. ილიას სიტყვებს - „მამული, ენა, სარწმუნოება“ ფრიდონმა ამით აუბა მხარი. ამის შემდეგ აჭარაში ბევრი მოინათლა და ბევრი ეკლესიაც აიგო, - აღნიშნა მან.

- გამორჩეული ქართველის, გამორჩეული აჭარელი კაცის დღეს ვზეიმობთ. საამაყო და სამაგალითოა მის მიერ განვლილი გზა. ყოველთვის დასაფასებელია წინაპრების სახელის მოფრთხილება და მათი ნაღვაწის მომავალი თაობებისთვის გადაცემა. დღეს, უწმინდესის ინიციატივით, ოჯახის სიწმინდის დღე აღინიშნება. არ არის შემთხვევითი, რომ ფრიდონ ხალვაშის ოჯახში ამ ქვეყნის კიდევ ერთი გამოჩენილი შვილი დაიბადა - ზაზა ხალვაში, რომელმაც შეძლო საერთაშორისო მასშტაბით ესახელებინა ჩვენი კინორეჟისურა, კულტურა განსხვავებულად და ღირსეულად წარმოეჩინა. ეს დღე მინდა მივულოცო ხალვაშების ოჯახს, ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკას. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ყველას განვლილი გზა არის დაფასებული და უკვალოდ არ ჩაივლის. მადლობა აჭარის მწერალთა კავშირს ამ ინიციატივისთვის. ამჟამად აქტიური მუშაობა მიმდინარეობს სოფელ გეგელიძეებში, რომ კარგი ბუდე შევქმნათ ფრიდონისა და ზაზასი, რაც მალე დასრულდება და „ფრიდონობას“ კიდევ უფრო დიდი მასშტაბები მიეცემა, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ. როგორც მან აღნიშნა, მთავრობის გადაწყვეტილებით, ახალგაზრდა მწერლებისთვის ფრიდონ ხალვაშის სახელობის პრემია დაწესდება.

- ჩვენს კუთხეს ჰყავდა და ჰყავს ადამიანები, რომლებიც სწორი მსოფლმხედველობით, კულტურულად და ესთეტიკურად ეფერებიან სამშობლოს. მათ შორის გამორჩეულია ფრიდონ ხალვაში. არ ვფიქრობ, რომ ამ მონუმენტით მის სახელს უკვდავყოფთ - მან სახელი თავად უკვდავყო სიტყვით, საქმით, კალმით. უბრალოდ, ეს ჩვენი მხრიდან მისი დაფასება და ხაზგასმაა იმისა, რომ ვხედავთ, რაც გააკეთა, - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ.

- „ფრიდონობაში“ მონაწილე ადამიანთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება და ეს სასიხარულოა, თუმცა საჭიროა ახალი ინიციატივები, თუ კიდევ უფრო კარგად როგორ აღინიშნოს ეს დღე, რათა პატივი მივაგოთ როგორც ფრიდონის სახელს, ასევე მოვეფეროთ ზაზას სულს. მომავალ წელს „ფრიდონობას“ ნამდვილად შევხვდებით გეგელიძეებში, განახლებულ გარემოში, განსხვავებული ფორმატითა და მასშტაბებით, ისე, როგორც ეს ორი ადამიანი იმსახურებს და სამინისტრო ამისთვის მაქსიმუმს გააკეთებს, - თქვა მაია ხაჯიშვილმა.

როგორც მხატვარმა აკაკი ძნელაძემ აღნიშნა, თემურ მახარაძის მიერ შექმნილი ბიუსტი ბრწყინვალე ქანდაკებაა, რომელსაც სხვა დატვირთვაც აქვს - მასში იმ აჭარელი, ქართველი პოეტის შინაგანი სამყაროა გამოხატული, სინთეზურად აღქმული და გადმოცემული, რომელსაც ფრიდონ ხალვაში ერქვა. მან ქალაქს მიულოცა ასეთი შესანიშნავი ძეგლის გახსნა.

მათი ოჯახისთვის 17 მაისის განსაკუთრებულობას გაუსვა ხაზი ზაზა ხალვაშის მეუღლე ნინო პაპუნიძემ. თქვა, რომ მათთვის ეს დღე, როგორც ფრიდონისა და ზაზას დაბადების დღე, ემოციურად დატვირთულია. ამას ბიუსტის გახსნაც დაემატა შესანიშნავ ავტორ თემურ მახარაძის მონდომებით. 17 მაისი ზაზასა და ქალბატონი ნინოს ქორწინების დღეც ყოფილა. მან მადლობა გადაუხადა ხელისუფლების წარმომადგენლებს, ყველას, ვინც ამ ბიუსტის დადგმაში მიიღო მონაწილეობა და მათ, ვინც სოფელ გეგელიძეებში ხელოვნების - კინოს, პოეზიის, ლიტერატურის სავანეს აკეთებს, რათა მომავალი წლიდან „ფრიდონობას“ ყოველთვის იქ უმასპინძლონ.

მოქანდაკე თემურ მახარაძემ მადლობა გადაუხადა ყველას დახმარებისთვის და აღნიშნა, რომ ფრიდონის სკულპტურაში, ზოგადად, აჭარელი კაცის მწუხარე სახე გამოსახა.

პოეტმა ვახტანგ ღლონტმა აღნიშნა, რომ აჭარას ფრიდონის სახით დიდი პოეტი ჰყავდა, რომელსაც სამშობლოსთან არასოდეს არაფერი შეშლია. მან ფრიდონ ხალვაშისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა, პოეტმა როინ აბუსელიძემ კი კვლავ წარმოსთქვა ის ლექსი, რომელიც ფრიდონ ხალვაშის დაკრძალვაზე წაიკითხა.

როგორც ბათუმის საკრებულოს თავჯდომარე რამაზ ჯინჭარაძემ თქვა, ფრიდონ ხალვაშმა შექმნა კუთხის, ქვეყნის სიყვარულის უჩვეულოდ თბილი სამყარო, რომ მის კალამს არასოდეს დაივიწყებენ.

მისი ყოველი დღე შემოქმედებაა – ექსპერიმენტები, აღმოჩენები...

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

გიორგი სისაური *აღიარებული კალიგრაფი, მწერალი, პოეტი, არაერთი კონკურსის გამარჯვებულია. ნიჭთან ერთად შრომისმოყვარეობითა და პასუხისმგებლობით გამოირჩევა. მას ძალუძს ასო-ბგერის ამეტყველება...*

- არტისტი, კალიგრაფი, მწერალი, მხატვარი, პოეტი, ხელოვნებათმცოდნე... მაინც, რომელ სფეროს ანიჭებთ უპირატესობას, თვითრეალიზაცია სად უკეთ შეძელით?

- პოეზიას გამოვარჩევ. ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი მიზეზია, რისთვისაც დავიბადე, თუმცა ბავშვი ვიყავი, როდესაც ჩემი თვითგანცდა მხატვრობაზე გადიოდა. ადრეულ ასაკშივე მქონდა მიდრეკილება, რომელიც სცდებოდა ბავშვურ გატაცებებს. ჩემს წარმოსახვაში ჩნდებოდა აურაცხელი კომპოზიცია, რომლის ფურცელზე ან ტილოზე გადმოტანის დაუოკებელი სურვილი მქონდა. ცხოვრების იმ ეტაპზე ჩემი ყველაზე საყვარელი „სათამაშოები“ ფუნჯი და საღებავები იყო. ჩემთვის თვითრეალიზაცია ფართო ცნებაა - გააჩნია, რა კონტექსტით განვიხილავთ. ვიღაცისთვის საყვარელი პოეტი ვარ, ვიღაცისთვის კი საყვარელი მხატვარი ან კალიგრაფი. ამ დარგებში ყოველწლიურად მსოფლიოს გარშემო ვახორციელებ პროექტებს. ვცდილობ, არცერთ სფეროს არ მოვაკლო ყურადღება, რადგან ეს პასუხისმგებლობაა საკუთარი თავისა და ჩემი ხელოვნების გულშემატკივრების მიმართ. სამყარო ტალანტს რომ გიწყალობებს, ვალდებული ხარ, გაამრავლო.

- ჩვენი გაზეთის სტუმარი ორი წლის წინათაც იყავით, რა სიახლეებია თქვენს შემოქმედებაში?

- ახალი კოლექცია და ახალი წიგნი, რომლის პრეზენტაციაც სეტემბერში რუსთაველის თეატრში გაიმართება. ამავე წიგნის წარდგენა გაიმართა იტალიის ქალაქ ბარიში. „ღვთაებრივი მისტერია“ ჩემი ცხოვრების ბოლო 10 წლის ნაშრომია. ვფიქრობ, არცერთ პოეზიის მოყვარულს არ დატოვებს გულგრილს.

- მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ 26 წლის ხართ, თქვენი ნამუშევრები ლუვრის გალერეაში იყო გამოფენილი. რა განცდაა, როცა თქვენი ნამუშევრების ექსპოზიცია ასეთ პრესტიჟულ სივრცეში ეწყობა?

- ხელოვნების მსახურებაში ყოფნა უცნაური რამაა. შეიძლება ყველაზე თვალისმომჭრელ და ბევრისთვის სანუკვარ სივრცეში გამოფენის გახსნის დღეს ეიფორიამ მიგატოვოს და მხოლოდ იმაზე ფიქრობდე - იდეალურად ჩაიაროს დღემ, რათა 4-5 ღამის უძილობა დასრულდეს. უდიდესი შრომაა ასეთი ექსპოზიციების მოწყობა. ხშირად ფიქრობენ, რომ მხოლოდ შემოქმედებითი პროცესია მნიშვნელოვანი. არადა, ამის შემდეგ იწყება ტიტანური შრომა - სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მეთოდით გიწევს არსებიდან გაჩენილი დაბრკოლებების გადალახვა გაჩარჩოებიდან დაწყებული და განათებით დასრულებული, რაც ნამუშევართა ექსპოზირებისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალია, თუმცა ამ ყველაფრის გადალახვის შემდეგ უდიდეს სიხარულს გრძნობ და ბედნიერი ხარ, რომ ეს შეძელი.

- თუ არ ვცდები, 5 წიგნის, 600-ამდე გრაფიკული ნამუშევრისა და 200-მდე კალიგრაფიული ნიმუშის ავტორი ხართ...

- არ ვიცი, დღეს ეს ციფრები რამდენად ზუსტია, თუმცა რა მომენტიდანაც საკუთარი თავი მახსოვს, ხელოვნებით ვარ ნასაზრდოები. ყოველი დღე შემოქმედებაა, დაუღალავი შრომა, ექსპერიმენტები, ძიებები, აღმოჩენები... მადლიერი ვარ, რომ ამ ყველაფრის კეთების შესაძლებლობა მომეცა. ბედნიერებაა, ემსახურებოდე ხელოვნებას და უდიდესი ისტორიის მქონე ქართულ კულტურას, დამწერლობას, ქართულ ანბანს...

- გარდა ქართულისა, რომელ ენებზე გაქვთ ხელნაწერები შექმნილი?

- ბევრი დამწერლობით მომისინჯავს ხელნაწერის შექმნა - არაბულად, ივრითზე, ლათინურით, კირილიცათი, ბერძნულად... ვცდილობ, არ განვუსაზღვრო რაიმე ჩემს თავს ხელოვნებაში.

- სამყაროს ფერებითაც ესაუბრებით... რა დატვირთვა აქვს ფერებს თქვენს ცხოვრებაში?

- უმნიშვნელოვანესი. ყველა ფერს თავისი ენერგია აქვს. თავისი მნიშვნელოვნება. სხვადასხვა კულტურაში ფერის სემანტიკის აღქმა-გაგება განსხვავებულია. შეიძლება ჩაიცვა კონკრეტული ფერის სამოსი და ამან გავლენა იქონიოს იმ მომენტისა თუ დღის განწყობაზე. სამყაროს უთვალავი ფერი მისი ერთ-ერთი ყველაზე დიდი მაგიაა.

- როგორ ფიქრობთ, ადამიანის თავისუფლება, განსაკუთრებით - შემოქმედის, რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარებისთვის?

- უდიდესი მნიშვნელობის, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია „თავისუფლების“ გაგება-შეგრძნება. ვინ რას დებს ამ სიტყვაში? ვისთვის რა არის ან როგორია თავისუფლება? ხშირად აბსტრაგირდება თავისუფლება ჩვენს ქვეყანაში. მისი არსთა რაობა, აღქმა-გაგება... შესაბამისად, ხშირად მაბნევს თავისუფლებაზე საუბარი, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში განსხვავდება თავისუფლების ჩემი და თქვენი აღქმები, ისევე როგორც გამოხატვის ფორმები. ეცადეთ გაიხსენოთ - ვინ როგორ „აგიხსნათ“ თავისუფლება ბავშვობაში, სიყრმეში - სკოლასა თუ უნივერსიტეტის ლექციაზე. ახდენს ეს გავლენას ჩვენეული გაგება-შეგრძნების ჩამოყალიბებაზე?

- ყველაზე კარგი წიგნი დაწერილია, კარგი სიმღერა ნამღერია - რას ეტყოდით ადამიანებს, ვისაც ასეთი აზრი აქვთ?

- ყველაფერი წინაა... დღეს ხელოვნური ინტელექტი წერს ლექსს, მუსიკას, აგენერირებს ნებისმიერი სირთულის გამოსახულებასა თუ კოდს. ვფიქრობ, გარდამტეხ და ძალიან საინტერესო დროში ვცხოვრობთ. შეიძლება ერთ დღეს გავიღვიძოთ და აღმოვაჩინოთ, რომ საქართველოში თანამედროვეობის „ვინმე უცხო მელექსემ“ სათაყვანებელი „ვეფხისტყაოსნის“ სადარი პოემა შექმნა. ეს ხომ მშვენიერი იქნება?! თუმცა ხშირად არ შეგვწევს უნარი, ერთმანეთი დავინახოთ. ვერ ვიტევთ ან ვერ ვიგებთ... ყოველთვის ვფიქრობდი, რომ დედამიწაზე არსებულ ნიჭებს შორის მათი აღმოჩენის ნიჭი ერთ-ერთი აღმატებული იყო.

- საუკეთესო თვისებად რას თვლით?

- გაცემას, მადლიერებას და შრომისმოყვარეობას.

- როგორი ინტუიცია გაქვთ, ქვეცნობიერს თუ უღრმავდებით?

- არა მხოლოდ ვუღრმავდები, არამედ ხშირად განმსაზღვრავს. ქვეცნობიერული ადამიანი ვარ და შეგრძნება ჩემთვის უპირატესია. ეს ჩემთვის კოსმოსზე მინდობილობას გულისხმობს.

- დაბოლოს თქვენი გზავნილი - მკითხველს...

- „შენ იარე და გზა გამოჩნდება“ (გ. სისაური, „მისტიკი“, 2019).